17
297/2

№ IX

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1897 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I მელია ლექსი—შ. მდგომელისა 3
II „პაპია გაჯალდა“ ამბავი—ვანოსი 5
III პატარა ლორდის თავ-გადასავალი, თარგმანი—ე—კოსი . . 15
IV სიმართლე თავისას გაიტანს გადმოღებული ფრანგულიდან—ან. წ—ისა 23
V ობოლი (გადმოკეთებული) დასასრული—ვანოსი 28
VI პიტნა და ნიორი ლექსი—დ. თომაშვილისა 42
VII პირუტყვთა ჭკუა-გონება დასასრული—თ. კანდელაკისა . . 44
VIII საკვირველებანი ბუნებისა—ლ. აღნიაშვილისა 52
IX ნახტომი (ნათარგმნი)—ბესარიონისა 54
X ხარაზი იგავი—ალ. მ—შვილისა 56
XI ყველას თავისი გზა აქვს—ლიდიასი 57
XII პატარა წვეთის ამბავი (რუსულიდან) 58
XIII სამეცნიერო გასართობი—ბორასი 60
XIV წვრილმანი: ხალხური ლექსები, გამოცანები, შარადა, აკროსტიხი, რებუსი და სხვა 61

ჟურნალი „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოდის ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს—ექვსის მაგივრათ და ჟურნალი მხოლოთ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

3306

#

ჩანგალი

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჯ.

№ IX

წელიწადი მერვე

ბიბლიოთეკა

ტფილისი
ბეჭდავდა მ. ჯ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1897.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 17-го Сентября 1897 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ლ ი ა.

(ეუძღვნი გიგა ერისთავს).

აით მიდიხარ, რას ეძებ,
რას დასანსალებ მელია?
მუცელი ფერდზე მიგეკრო, —
საჯმელი შემოგელია!?

—

ალბათ დაბლიდან მოგესმა
მამლაყინწების ყივილი,
კბილები აგიკაწკაწდა,
აგიტუდა მუცლის ტკივილი?

—

და ჩუმათ მოიპარები
კუდს მალავ, ნაბაჟ თეალებსა,
რომ დედლებს წამოეპარო
და ასცდე მაღლთა ბრჭყალებსა.

—

მოიგდო ზურგზე საწყალი,
ტეისაკენ გაარბეინო;
კბილები ყელში ჩასჯიდო,
სული არ მოათქმევინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი არ ახლო მისამარ
აქ ჩემ ეკინჩილა-მამალსა,
თორემ არც შენთვის დავზოგავ
ერთ სროლა ტეკია-წამალსა.

—

არც კი გრცხვენია, რომ მუდამ
ქურდულათ დაიპარები,
აღარსად ქანდარა გრჩება,
არც სად საქათმის კარები!

—

თუ ვაქ-კაცი ხარ, სოფელში
თამამათ შესვალ დილითა:
დაგესევიან ქოფაკები,
ისე გაგხდიან კბილითა,

—

რომ ვაი დედას იმახდე,
თავსა და ბედსა ჩიოდე,
გზა აღარსაით არ გქონდეს,
სულ ჭოტივითა კიოდე.

შ. მლვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჰაპია გაჯალდა“!

I.

ჰაპია გიორგი სამოცდაათი წლის კაცია, მაგრამ ჯერ კიდევ მარჯვეთ არი; თმა და წვერი თუმცა ბამბასავით აქვს გადაჰენტილი, მაგრამ მის სახეს სიბერის დაღი არ დატეობია, ჯერ კიდევ ვაჟკაცობისა და ჯან-ღონის ნიშანწყალი არ დაუკარგავს. კბილი ერთიც არ აკლია; არ გავს აბა ეხლანდელ ყმაწვილებს, უკბილობით ასი წლის ბებერსავით რომ ჩლიფინობენ. ან კი რა დააკლებდა კბილს: ჰაპია ყოველისფერში მეტათ ზომიერია, სისუფთავე უყვარს და იმგვარ საჭმელსა და სასმელს არ გიახლებათ, რაც გემოვნებას იამება, კბილებისა და სხვა ნაწილებისათვის კი მავნებელია. არც ერთ საქმეში ჰაპია გიორგი კაი ვაჟიკაცს არ ჩამოუვარდება; შრომა ძალიან უყვარს, უსაქმოთ ჯდომა საშინლათ ეჯავრება. — ზარმაც ადამიანს ჰური არ უნდა აჭამოვო, იტყვის ხოლმე ჰაპია: კაცმა იმდენი მაინც უნდა გააკეთოს, რომ ჭმევის ღირსი იყოს. ჰაპია ორი იჯრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტს არ გიასლებათ, სადილი და ვახშამი რწამს, საუზმესა და სამხარს კი ღორმუცელებისაგან მოგონილს უძახის. წითელი ნუნუა მას ერთობ უყვარს.—ჩემისთანა მოხუცის სისხლი წითელი ნუნუა არისო, იცის ბაბიამ: თუ ისიც აღარ დავლიე, რაღამ მაცოცხლოსო.—უნდა მოგასსენოთ, რომ გაუციებელ ღვინოს ზაფხულში ბაბია ცხვირ წინაც არ წაიკარებს. საღამოზე იმდენს ამოიღებს, რომ ვახშმათაც ეყოს და სადილათაც, რადგანაც ხშირათ ჯურის მოხდა ღვინოს ძალას ართმევსო. სადილისათვის სხვა დოქში შეინახავს, დილაზე ადრე ცივ წყაროში ჩადგამს და კაი სადილობამდე აღარ ამოიღებს; მართლაც ღვინო ეინვასავით ხდება. მერე ზაფხულობით ბაბიას ღვინის სმა ჭინჭილით უყვარს და ჭინჭილა ხომ, თბილი ღვინოც რომ იყოს, მაინც ცივათ გაჩვენებსთ, რადგანაც მხოლოთ წვეთ-წვეთათ გასმევსთ და, ბევრიც რომ ეხვეწოთ, არ მოუმატებს. ბაბია დღეს ჩვეულებრივათ ადრე ადგა. მზე ჯერ არ ამოსულიეო, მხოლოთ წინამორბედათ თავის სხივები გამოეგზავნა და აღმოსავლეთი მოეკარაუებინა; ჯერ ამითი

„ჩემო სამშობლო მხარეო,
დატკბი და გაიხარეო“

მალე მეც გეწვევი და შენს არე-მარეს სიცოცხლესა და სიხარულს ჩავუდგამო.

ბაბიამ ბირი დაიბანა, თმა გადივარცხნა, ულვაშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტათ გადიკვრაწნა, შემდეგ კუთხეში ბირჯვარი გადისახა, რადაც ლოცვები წაიბუტბუტა, ჩამოჯდა სამფეხა სკამზე და ჩიბუხი მოიმარჯვა.

ამ დროს ბატარა დათუნიამაც წამოჭეო ლოგინიდან თავი, თვალები დააბარბალა და ერთი კიდევ გაიზმორა.

— ოჰ, ჩემ ეურშას ვახლავარ! გამოიღვიძე? მიესალამა ბაბია თავის ცქრიალა შვილი-შვილს.

— სენე, ბაბია, კულსაი! უპასუხა ღიმილით დათუნიამ.

— ჭაი, შე მაღლო, შენა! აგრე უნდა, ვისაც კაი ბაბია ჭეავს! დაუბრახუნა ბაბიამ ფეხი, ვითომდა გული მომივიდაო.

— ჭატ! მიამახა დათუნიამ თავის ქნევით. მან კარგათ იცოდა, რომ ბაბია ეხუმრებოდა, და თვითანაც გაემასხარავა.

ბატარა დათუნია ექვსი წლის არის; მეტათ გაეშმაკებული ჭეავსთ ეველა შინაურებს, განსაკუთრებით ბაბიას, რომელიც მას თავის ნებიერს უმახის, მაგრამ განებივრებით სრულიადაც არ ანებივრებს. დათუნიამ ჯერ წერა-კითხვა არ იცის; რა ვუეოთ, ჯერ მალიან ბატარა არის; თვლა კი ოცამდე იცის; ხან-და-ხან შეეშლებოდა და ხუთის შემდეგ ბირდაბირ რვაზე გადახტებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა აღარ ეშლება. გამოცანები და შაირები ხომ ერთობ ბევრი იცის. ბაბიას დახმარებით თვითონაც გამოუთქვა ბებიას ერთი შაირი, როცა მას ერთ-ერთი სანაშენო ცხვარი მოუკვდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დილიკაულის მწედელი
ქვაბს წედამს და კალდალასა;
ბებიას ცქვალი მოუკდა,
თავზე იკლის გადალასა!“

დათუნია ერთობ კარგი გულის არის. ბაბიასი დიდი ხათრი აქვს; რასაც ის უბრძანებს, ყოველისფერს ასრულებს. როცა ბაბია გუნებაზე არ არის, დათუნია ვერასფერს უბედავს: ეშინია, ვაი თუ ჩემმა უდროო დროს მასხარობამ გული მოაყვანიოს და გამწყეპლოსო. როცა ბაბია გუნებაზე არის, მაშინ დათუნია ძალიან ეთამამება; ხან ყურშას უმახის, ხან ულვაშში წააკლებს ხელს, ხან უკან მიეპარება და კისერში ქათმის ფრთას მიუს მოუსვამს, ვითომ ბუზი დაგაჯდაო.

— აბა, ყურშა, აბრძანდი, წყაროზე წავიდეთ. მე ღვინოს გავაცივებ, შენ კიდევ ბირი დაიბანე!

დათუნიამ, ცოტა არ იყოს, თვალები აბრუწა, ცივი წყლით ბირის დაბანა როგორღაც ეზარებოდა, მაგრამ რაღა გზა ჰქონდა, ბაბიასი ეშინოდა. ბაბიამ გუშინ ერთი კაი საღვინე ხელდოქი იყიდა. გაეგონა, ახალიჭურჭელი ღვინოს აცივებსო, და ამიტომ რამდენჯერმე გამორეცხა ახალი ხელდოქი, გაავსო ღვინით და გასწია თავის ბატარა შვილი-შვილით წყაროსაკენ; ხელდოქი წყაროში ჩადგა, დათუნიამ ბირი დაიბანა და გამოფხიზლებული შინისაკენ კუნტრუშ-კუნტრუშით წამოვიდა. დღეს უქმე დღე არის და ბაბია წირვაზე წასვლას აპირებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათუნიას წაეგანაც უნდა, მაგრამ დათუნიას ბაბიას სურვილი არ ეჯაშნიკა: დღეს ბატარა მეგობრებთან ტაფა-რიკის თამაშს იყო შეპირებული; მას უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ გაიმარჯვებდა, მოასტებოდა თავის ამხანაგს ზურგზე და სულ ცხენივით აჭენებდა.—უნდა მოვიგონო რამე, თორემ გლახათ არის საქმეო, ი ვიქრა დათუნიამ, მოიღუშა, თვალები აიცრემლა და კრუსუნი დაიწყო, ვაიმე თავი მტკივაო. ბაბია ეშმაკობას ვერ მიუხვდა, მართალი ეგონა და მარტო წავიდა წირვაზე. დათუნიასაც ეს უნდოდა: მაშინათვე გარეთ გავარდა და სადილობამდის თვალით აღარავის დანახვებია, მაგრამ თავისი იმედები კი გაუცრუვდა; ტაფარიკში მას აჯობეს, შეაჯდენ ზურგზე და მინდვრები სულ ჭენებით შემოარბენინეს. ისიც სირცხვილით დაღალვას როგორ გაამხელდა და, რაც ღონე ჰქონდა, გარბოდა. წირვა გამოვიდა. ბაბია მალე დაბრუნდა; შინაურები დალოცა, წირვის მადლი შეგეწიოსთო, დაისვენა ბატარა ხანს და შემდეგ წეაროსაკენ გასწია ღვინის მოსატანათ... მალე სუფრაც გაშალეს და ყველა გარს შემოუსხდა. ბაბიამ გაივსო ჭინჭილა, მოიეუდა ტუჩზე, მოიღერა ყელი და დააწყებია რაკრაკი. რომ გამოცალა, ბატარა ხანს შეჩერდა, თითქოს რაღაცას ეურს უგდებსო, შემდეგ თავი გადიქნია და გულდაწყვეტით თქვა:

— აკი ღვინო დაულევია ვიღაცას და წულით აუვსია! ამას ეურშას მეტი არავინ იზამდა, ეგ არამზადა, ეგა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუურიდა ბიჭებს თავს და დაალევინებდა. ვიცი მაგის სიმაღლის ამბავი.

ბაბიამ ჭიქა აიღო, გაავსო ღვინით და გახედა.

ლალიკით წითელი ღვინო გახუნებულ ჩითსავით გამოიუურებოდა.

— კი ბატონო, გემოზედვე შევატყვე, რომ წყალი ჰქონდა ჩარეული. დღეს სად ეგდო, ეგ ძაღლი, ეგა? სახლში იყო თუ არა? იკითხა ბაბიამ.

— ექლა კი ბაბია გაჯალდა! თქვა დათუნიამ თავის გუნებაში და ლაფში ჩამოუშვა.

— რაი თქვენ წირვაზე წაბრძანდით, ბატონო, თვალი ალარ მოგვიკრავს, უპასუხა დათუნიას დედამ.

— აი შე მერალო, შენა, მაგიტომ მოიგონე თავის ტკივილი, რომ ღვინის დალევა გინდოდა? ხომ დათვრე ამხანაგები! აი შეგარცხვინა ღმერთმა! აეთრიე ზეზე და გადი კარში. შენ ლუკმა არ უნდა გაჭამოს ადამიანმა, შე არამზადა, შენა!

დათუნიამ ახლა კი ბღრიალი მორთო და გასწია გარეთ...

II.

სადილი გაათავეს; სუფრა აალაგეს. საბრალო დათუნია ისევ გარეთ იყო, ნახევრათ მშიერი, და ზლუქუნებდა. ბებიამ მოიუვანა, ჩაისვა კალთაში და დაუწყო ალერსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვუყოთ, შვილო, ბაბია უფროსია; თუ გაგიჯავრდება, ისევ შენი სარგებლობის გულისათვის, და გული როდი უნდა მოგივიდეს.

დათუნია ეფიცებოდა, „გმელთი, ჯული, ბებე, გინო მე ალ დამილევიაო.“ მართლაც საბრალო დათუნია სრულიად უდანაშაულო იყო. ჩუმათ ღვინოს როგორ დალევდა, აგრე მსუსაგი და ბრიყვი არ გასლავსთ. თუ რამეს წაახდენდა, მან დამალვა არ იცოდა: ბირდაბირ იტყოდა ხოლმე, „მე წავაქდინეო“.

საქმე კი აი როგორ გასლდათ. თიხის ჭურჭელს, როგორც ყველა საგანს, ბატარ-ბატარა ფურჩები *) აქვს. ნახმარ ჭურჭელში ეს ფურჩები გაჟენთილია და ამიტომ ვაგლახათ შიგ არა გამოვარა. ახალ გამოუსახმარისებელ **) ჭურჭელში კი გაუჟენთელია; ამიტომ, შიგ რასაც ჩაასხავთ, უსათუოთ ნელა-ნელა ქვენას დაიწყებს. აბა ახალ ჭურჭელში წყალი ჩაასხით და დადგით; ბატარა ხანს უკან თქვენ დაინახავთ, რომ ჭურჭლის კედლების გარეთა ბირი სულ დასველდება, რადგანაც წყალი შიგნიდან გამოქვენავს.

ბაბიამ რომ ახალი დოქით წყალში ღვინო ჩადგა, ღვინო ფურჩების წყალობით თან-და თან გარეთ გამოვიდა და წყალს შეერთო, ზევიდამ და გვერდებიდამ კი ჭურ-

*) ფურჩს იმერეთში ეძახიან თიხის ჭურჭლის კედელში დარჩენილ ბატარა ნასვრეტს.

**) გამოუსახმარისებელი ჭურჭელი—უხმარი ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭელს წყალი აწვებოდა და იმავე ფურჩებით შიგნით შედიოდა. ამ გვარათ დილიდან მოკიდებული სადილობამდე დოქიდან ღვინო გარეთ გამოდიოდა და წყალს მიჭქონდა და მის ალაგას წყალი შედიოდა დოქში. ამ რიგათ ერთსა და ორ საათში ახალი თიხიდან ძალიან ცოტა ღვინო გამოვა და ცოტა წყალი შეერევა, მაგრამ თუ დიდმა ხანმა გაიარა, მაშინ ბევრი ღვინო გამოვა და მის ალაგას ბევრი წყალი შევა. ბაბიამ მზის ამოსვლამდე ჩადგა ღვინო წყალში გასაცივებლათ და ნაწირვებს კაი სადილობისას ამოიღო. ღვინო დიდხანს იყო წყალში და ამიტომ შესამჩნევათ გაწყალდა. საწყალ დათუნიას კი ტუჩილ უბრალოთ ცილი დაწამეს და უსადილოთ დატოვეს. ბებია დაჯერა დათუნიამ, მე ალ მიქნიაო, მაგრამ ბაბია როგორღა დაარწმუნოს? გული იმაზე კი არ წუდება, რომ უსადილოთ დარჩა, არამედ იმაზე, რომ ცილი უბრალოთ დაწამეს. საღამოზე ბაბიას გული მოუბრუნდა და ისევ კაი გუნებაზე დადგა.

დათუნია ბებესთან იჯდა.

— ეურშამ ღვინო დალია და სადილიც თან ჩაატანა! გაემასსარავა ბაბია.

— ბაბია გაჯალდა, სული გავალდა! გაუბედავათ წაიბუტბუტა დათუნიამ ბაბიას საბასუხოთ.

— რაიო, რაიო? ჰკითხა ბაბიამ.

ბებიას სიცილი წასკდა და თავის საყვარელი შვილიშვილი გულში ჩაიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაიო, ბიჭო, რაიო; მითხარი, ნუ გეშინია.

— ბაბია გაჯალდა, სული გავალდა! დაიძახა დათუნიამ და გავარდა კარში.

— აი შე ეურშა, შენა! სული თუ გამვარდა, შენმა სიცოცხლემ, შენ ტაბლებს დაგიდგამენ წინ, არ გინდა!

— ვინ გასწავლა ეგ? ჰკითხა ბაბიამ ცოტა ხან სიჩუმის შემდეგ.

— ალავინ, ჩემით ვისწავლე! უპასუხა დათუნიამ.

— კაი რამე კი გისწავლია, მართალი უნდა მოგახსენო!

— აბა, ტკვილი ლათა თქვი?

— რის ტეუვილი, ბიჭო, არა, დალიე, მაგრამ წულით რალაზე ამსებდი?! ხომ წარსული საქმეა და გამოტუდი ბარემ.

— ალა, გმელთი, ჯული!..

დიდხანს ილაპარაკეს ბაბუა-შვილი-შვილმა, მაგრამ დათუნია იფიცავდა ეოველისფერს, მე ალ მიქნიაო.

— ეს ბავში სწორეთ მართალია, თვარა სხვიმის არა დაუფიცავსრა და ახლა რა ღმერთი გაუწერებოდაო, იფიქრა ბაბიამ.

— ის ხომ მართალია, რომ თავი არ გტკიოდა და ტეუილი მოიგონე, იქნება წირვაზე ალარ წამიეგანონო? დაეკითხა ბაბია.

— მალთალია; აგალ ვიზამ!

— აბა ახლა მე გეტეევი, შენი საქმე როგორც იეო: შენ იფიქრე, ბაბია წირვაზე წავა, მე თავის ტკივილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიგონებ, აქ დავრჩები და ბავშებთან ერთათ ნუნუას დავლევო! ხომ ასე იყო?

— ალა, მაგლე ალ იკო!

— აგრე კი არა, აი უფრო როგორ იქნებოდა, ჩაერია ბებია მათ მუსაიფში: დათუნიას ღვინო არ დაულევია, თავის ტკივილი კი ტუვილი მოიგონა, რადგანაც წირვაზე წასვლა დაეზარა. ამიტომ ჰაჰიას მოტუუებისათვის ღმერთმა დასაჯა და დღეს უსადილოთ დატოვა.

— ეგ უფრო მალთალია, დაეთანხმა დათუნია: ნუნუა გმელთმა დალია და მე კი ალა!

— ღმერთმა კი არ დალია, შე სულელო, სხვამ დალია, მაგრამ წირვაზე რომ არ წასვედი და შენი უფროსიც მოატუუე, ამისათვის შენ ღმერთმა დაგსაჯა: ჰაჰიას შენზე გული მოაუვანინა და უსადილო დაგტოვა. განუმარტა ბებიამ.

— ახლა შენ, ვიცი, გეშინვება. თუ ჰირობას მომცემ, რომ ტუვილს აღარ მოიგონებ, სადილს გაჯმევ, თუ არა და არა. უთხრა ჰაჰიამ.

დათუნიამ შეეშფიცა, ჩემო ჰაჰია, ეს ელთი შეცდომა მაპატივე და ამას იქით აღალასოდეს ტკუილს აღალ ვიტკვიო.

ჰირობის დასამტკიცებლათ ბაბუა-შვილი-შვილმა ერთმანერთს გადაჰკოცნეს, მაგრამ ვინიცის, როდემდის შეინახავს ჩვენი ეურშა თავის ჰატიოსან სიტუვას!

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ლორდის თავ-გადასავალი.

IX.

დ ი დ ი ს ა ქ მ ე.

ერთ დილას გლეხები ძალიან გაკვირდენ, როცა დაინახეს ცედრიკის გვერდში მეჯინიბეს მაგიერათ მეორე მხედარი მაღალ, მოსულ ცხენზე; ეს მხედარი—მოხუცი გრაფი იყო. პატარა ლორდმა თითონ წამოიყვანა ბაბუა სასეირნოთ.

— წამოდით თქვენც ჩემთან!—უთხრა ამ დილას ბაბუას.—ისეთი მეძნელება ხოლმე ყოველთვის, ამხელა სასახლეში რომ სულ მარტო გტოვებთ!

მეჯინიბეები დაფაცურდენ, როცა ბრძანება მოუვიდათ, „სელიმი“ შეკაზმეთ გრაფისთვისო. მას აქეთ თითქმის ყოველ დღე კაზმავდენ „სელიმს“ და თითქმის ყოველ დღე დასეირნობდენ მალალი, ჭალარა გრაფი თავისი დიდი, ლურჯი ცხენით და პატარა ლორდი თავის პატარა ცხენით. ამ სეირნობის დროს ბაბუა-შვილიშვილი კიდევ უფრო დაუახლოვდენ ერთმანეთს; ცედრიკი შეუჩერებლათ ტიტინებდა, გრაფი ყურადღებით უსმენდა; ხან და ხან გრაფი წინ გააჭენებიებდა ცხენს ცედრიკს და სიამოვნებით უყურებდა, რა თამაშით მიუშვებდა ხოლმე ცხენს ბავში და რა ჭენებით ბრუნდებოდა მერე ბაბუასაკენ, თანაც ქუდს აქნევდა და იცინოდა.

შვილიშვილისაგან გრაფმა გაიგო, რომ მისი რძალი უსაქმურათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო; არემარეში ყველა საწყლები და ღარიბები მას კარგათ იცნობდენ; არა ერთხელ გაჩერდებოდა ხოლმე მისი ეტლი იმ ქოხის წინ, სადაც კი უბედური და გაჭირვებული იმყოფებოდა.

— იცით! — უამბობდა პატარა ლორდი. — „ძვირფასს“ აქ ყველა ამ სიტყვებით ეგებება ხოლმე „ღმერთმა დაგლოცოსო!“ ბავშვებს ძალიან უყვართ, ზოგი კორტ-ლოჯშიდაც დადის ჯ „ძვირფასი“ მათ წერა-კითხვას და კერვას ასწავლის. ის ამბობს, ისე მდიდრათ ვგრძნობ თავს, რომ ღარიბებს უნდა დავეხმაროთ.

გრაფი კმაყოფილი იყო, რომ მისი მემკვიდრის დედა ლამაზი, კეთილშობილი შეხედულობის ქალი იყო, ისიც მოსწონდა, რომ ამ მოკლე ხანში სახელი გაითქვა, მაგრამ გული კი მოდიოდა, ცედრიკის ასეთ სიყვარულს რომ ხედავდა, მას სურდა თითონ დაეჭირა პირველი ადგილი ბავშის გულში. ამ დილას ბაბუა და შვილიშვილი ერთ მაღლობზე ავიდენ. იქიდან შვენიერი გადასახედავი იყო; გრაფმა მათრახით მიუთითა ცედრიკს არე-მარეზე და უთხრა:

— იცი, ფაუნტელროი, რომ მთელი ეს არე-მარე ჩემია?

— მართლა! — წამოიძახა ბავშმა. — რა ბევრია ერთი კაცისთვის, რა სიმდიდრეა!

— ესეც იცი, რომ ერთ დროს ყველა ეს და ბევრი სხვა მიწები შენი იქნება?

— ჩემი? — თითქო შიშით წამოიძახა ბავშმა. — როდის?

— როცა მე მოვკვდები.

— მაშინ მე არაფერი არ მინდა. — მუგო ცედრიკმა. — მე მინდა, რომ არაოდეს არ მოკვდეთ.

— ძალიან კარგი, — გაიღიმა ბაბუამ, — მაკრამ მაინც ერთ დროს ყველა ეს შენი იქნება და შენ გრაფ დორინკორტი გახდები.

პატარა ლორდი დაფიქრდა და აათვალიერ-ჩაათვალიერა მინდვრები, ყანები და სასახლის პატარა ციხეები; მერე ღრმათ ამოიოხრა

— რაზე ფიქრობ? — დაეკითხა გრაფი.

— იმაზე, რაც გუშინ „ძვირფასმა“ მითხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გითხრა?

— ასე მითხრა, ადვილი არ გეგონოს მდიდრობაო; როცა კაცი გამდიდრდება, ავიწყდება, რომ ბევრი უბედურიც არის ქვეყანაზეო. მე ვუამბე, რა კეთილიცა ხართ თქვენ და იმან მიპასუხა, ეს ძალიან კარგიაო, სამწუხარო იქნებოდა, მაგისთანა შეძლებული გრაფი მარტო თავის თავზე რომ ფიქრობდესო. ახლა აი, ამ ქოხებს ვუყურებ და ვფიქრობ, როცა გრაფი გაეხდები, რითი უნდა გაეიგო ხოლმე, რომელია უბედური და გაჭირვებული? მითხარით ბებუა, თქვენ როგორ გაიგებთ ხოლმე?

გრაფი მხოლოთ ერთს გებულობდა ხოლმე: სრულათ იხდიდენ თუ არა გლეხები იჯარის ფულს, და თუ ფულს არ მიიღებდა, უწყალოთ აგდებდა მათ თავის ადგილებიდან.

— ეგ მოურავის საქმეა!—მ უგო მან და გძელ, გაჭაღრებულ ულვაშებზე ხელი გადისვა.—ახლა კი ის ჯობს, სახლში წავიდეთ. როცა გრაფი გახდები, ეცადე, ჩემზე უკეთესი იყვე.

ერთი კვირის იქით, როცა პატარა ლორდი კარტ-ლოჯიდან დაბრუნდა. ძალიან აღელვებული შეეიდა ბებუას ოთახში, ჩუმათ დაჯდა მაღალ სკამზე ბუხრის წინ და დაფიქრებით მიაჩერდა ნაკვერჩხლებს. გრაფი თვალს ადევნებდა ბ მოუთმენლათ მოელოდა, ბებ რას იტყვისო. ეტყობოდა, ბავშს რაღაც აწუხებდა; ბოლოს მან ასწია თავი და გრაფს მიუბრუნდა:

— თქვენმა მოურავმა ყველა გლეხების მდგომარეობა კარგათ იცის?

— ეგ მისი მოვალეობაა!—მ ოუგო გრაფმა.—როგორ, რა მოხდა?

თუმცა ეს წარმოუდგენელია, მაგრამ გრაფს ცედრიკში ყველაფერზე უფრო გლეხების მდგომარეობის თანაგრძნობა მოსწონდა; თითონ გრაფს ისინი არც კი ახსოვდა, მაგრამ ის კი მოსწონდა, რომ ბავშური თამაშშიკ ცედრიკი უეცრათ ამნაირ კითხვას აღძრავდა ხოლმე.

— სოფლის განაპირას,—დაიწყო პატარა ლორდმა,—ერთი ადგილია, საშინელი ადგილი! „ძვირფასმა“ თითონ ნახა; იქ თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ სუნთქვაც კი არ შეიძლება, ყველა მათხოვრები არიან, ყველას ცივებ-ცხელება დარევია, ბავშები თითქმის ყოველ დღე კვდებიან, ისეთ საძაგელ მდგომარეობაშია ყველა იქ მცხოვრები, რომ უარესი არ შეიძლება! მიქელზე და ბრიჯეტზე უფრო უბედურები არიან! სახურავებში სულ წყალი ჩამოუდისთ. „ძვირფასი“ ღარიბ ქალთან იყო, მერე მე აღარ მიმიკარა თავის სიახლოვეს, სანამ კაბა არ გამოიცვალა... სულ ტიროდა და ისე მიამბობდა ყველა ამას.

ბავშსაც თვალებში ცრემლები მოერია, მაგრამ მაინც გაიღიმა და დაუმატა:

— მე ვუთხარი „ძვირფასს“, რომ თქვენ არაფერი არ იცით. იმასაც დავპირდი, ყველაფერს ვუამბობ თქო.

ცედრიკი ჩამოხტა სკამიდან, მიუახლოვდა ბაბუას და მუხლზე ხელი დაადვა.

— ბაბუა, თქვენ ხომ მათაც ისე მოეხმარებით, როგორც ხიჯინსს მოეხმარეთ? ნეიკს უთუოთ დაავიწყდა თქვენთვის აეწერა მათი მდგომარეობა.

გრაჯი მის მუხლზე დადებულ პატარა ხელს დააჩერდა. არა, ნეიკს არ დავიწყებოდა არაფერი! რამოდენჯერმე უამბო, რა მდგომარეობაშიაც იყვენ იმ ადგილის მცხოვრებნი, მღვდელი მორდაუნტიც რამდენჯერმე უხატავდა მათი სილატაკის სურათს, მაგრამ სწორეთ მაშინ გრაფს ქარები საშინლათ აწუხებდენ და მკაცრათ უპასუხებდა ხოლმე, რაც უფრო მალე მოკვდებიან და მიწაში ჩაელენ ყველა ეგ მათხოვრები, მით უკეთესი იქნებაო. ახლა კი, როცა ხედავდა ამ პატარა ხელს, შვილიშვილის ახდილ, პატიოსან სახეს, სირცხვილსა და სინანულს გრძნობდა.

— შენ მგონია გინდა სამაგალითო ქოხების ამშენებლათ გადამაქციო, ჰა?—და მან პატარა ხელს სიყვარულით ხელი მოუცაცუნა,

— ის ქოხები ძირამდის უნდა დაინგრეს!—აღელვებით დაიწყო ისევ პატარა ლორდმა. —„ძვირფასმა“ ასე თქვა. წამოდით, ახლავე, ბაბუა, უბრძანეთ, დაიწყონ იმ სახლების დანგრევა. ხალხს ძალიან გა-

ეხარდება, გაიგებენ, რომ მათი სიკეთისათვის ეშვრებით ყველაფერს.

ბავშის თვალები ვარსკვლავებსავით ბრწყინავდენ. გრაფი ადგა და ბავშს მხარზე ხელი დაადვა.

— ჯერ წამოდი, ჰაივანზე ვისეირნოთ ცოტა ხანს და ერთათ გავსაჯოთ ეგ საქმე!—ღიმილით თქვა მან.—ცოტა ხანს იქით ბაბუა და შვილიშვილი ფართე აივანზე დასეირნობდენ. გრაფი ხან-და-ხან ღიმებოდა, ხან-და-ხან დაფიქრდებოდა, მაგრამ ეტყობოდა კმაყოფილი იყო და ჯერაც არ ჩამოელო ხელი თავის პატარა მეგობრის მხარიდან.

სოფელი ერლკორტის მ.ბგობარეობა მართლაც საშინელი იყო; ქალბატონმა ეროლმა დაათვალიერა თუ არა იქაურობა, მაშინვე გადაწყვიტა, ამათ რამე დახმარება უნდა ამოეუჩინოთო; ღვდელმა უამბო, თუმცა ბევრჯელ ველაპარაკე მაგის შესახებ გრაფს, ის არაფრის გაკეთებას არ აპირობსო.

— გრაფს ცედრიკი უყვარს და ყოველ მის სურვილს ასრულებს!—უთხრა მან ერთხელ ღვდელს.—ვისარგებლოთ ამ გრძნობით. მე ჩემ მოვალეობათ ვთვლი ყოველი საშვალების ხმარებას!

ქალბატონი ეროლი კარგათ იცნობდა შვილის კეთილ გულს; ცედრიკზე საშინლათ იმოქმედა მისმა სიტყვებმა, ერლკორტის სილატაკის აღწერამ, და მაშინვე თქვა, ბაბუამ უთუოთ არა იცის რა, როცა ვეტყვი, უსათუოთ დაეხმარებაო. დედას დიდი იმედი ჰქონდა ცედრიკის გრაფზე გავლენისა და იმედი არც გაუცრუვდა. გრაფს არ უნდოდა, შვილიშვილს მასზე შედგენილი კარგი აზრი შეეცვალა, არ უნდოდა, რომ შეუბრალებლათ და უგულოთ ჩვენებოდა. ამიტომაც, თუმცა გულში თავის-თავს დასცინოდა, მაინც მოაყვანინა თავისი უფროსი მოურავი ბ მასთან ერთათ გადაწყვიტა, ერლკორტის გლეხებისათვის ახალი ქოხები აეშენებინათ.

— ლორდ ფაუნტელროის სურვილია! — ცივათ უთხრა მან მოურავს. ლორდს იმედი აქვს, რომ ამითი მამულს გააუმჯობესებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებსაც ასე უთხარით. —და გრაფმა ბუხრის წინ ხალიჩაზე ძაღლთან ერთათ გაწოლილ თმახუჭუჭა ვაჟს შეხედა.

გლეხებმა მალე გაიგეს, რა ბედნიერებაც მოელოდათ, მაგრამ კიდევ არ ჯეროდათ მანამდის, სანამ მუშები არ მივიდენ და სულ არ დაანგრიეს მათი, მაინც ნახევრათ დანგრეული, ქოხები. ყველა მიხვდა, ვისი მადლიერიც უნდა ყოფილიყო და ყველა გულით ლოცავდა კეთილ ლორდს. ბავშს ძალიან გაუკვირდებოდა, რომ გაეგო, ასე მაქებენ და მადიდებენო, მაგრამ მან არა იცოდა რა; ის თავისთვის უზრუნველათ ცხოვრებდა, დარბოდა და დახტოდა წალკოტში, დასდევდა თრითინებს, ან წამოწვებოდა მწვანე ბალახზე და შვენიერ სურათებიან წიგნებს კითხულობდა, წაკითხულს ყოველთვის ხან ბაბუას და ხან დედას უამბობდა ხოლმე; ხშირათ წერდა გრძელ-გრძელ წერილებს გობსს და დიკს და იმათგან მოსულ პასუხს სიამოვნებით კათხულობდა. ცხენითაც ხშირათ დასეირნობდა ბაბუასთან ერთათ; გლეხები მხიარული ღიმილით უკრავდენ თავს და სიყვარულით აყოლებდენ თვალს პატარა ლორდს, მაგრამ ცედრიკი დარწმუნებული იყო, მე კი არა, ბაბუა ჩემს ეგებებიან ასეო.

— შეხედეთ, ბაბუა, როგორ უყვარხართ ყველას, როგორ უხარიათ თქვენი ნახვა! ნეტავი მეც აგრე შემიყვარებდენ, ცოტ-ცოტათი! რა სასიამოვნოა, როცა ყველას უყვარხარ!

ცედრიკი ამაყობდა მითი, რომ ბაბუა მისს ამისთანა სიყვარული დაემსახურებინა!

როცა ახალი ქოხების შენება დაიწყეს, ის და გრაფი ხშირათ დაიარებოდენ ერლკორტში. პატარა ვაჟი ჩამოდიოდა ცხენიდან, უახლოვდებოდა დურგლებს და კალატოზებს, მეგობრულათ ესაუბრებოდა მათ, უყვებოდა სხვა-და-სხვა ამბებს ამერიკაზე, გამოჰკითხავდა ხოლმე, როგორ აშენებენ სახლებს, ბედნიერი და კმაყოფილი ბრუნდებოდა სახლში და გრაფს უხსნიდა, რანაირათ უნდა აშენდეს სახლები.

— მე ყველაფრის გაგება და სწავლა მიყვარს! — ამბობდა ხოლმე პატარა ლორდი, — ვინ იცის, ადამიანს ცხოვრებაში რა მოელის!.

მუშები კი, წავიდოდა თუ არა პატარა ლორდი, სიყვარულით იწყებდენ იმაზე ლაპარაკს, იხსენებდენ მის ნათქვამ სიტყვებს და ლაპარაკობდენ:

— საკვირველი ბავშია! რა ჭკვიანია! სიამაყე და მედიდურება ერთი ნამცეციც არ ეტყობა!

სახლშიაც თავის ცოლშვილს სულ პატარა გრაფის შვილიშვილზე უამბობდენ; მთელ არემარეში ცედრიკს ყველა „პატარა ლორდს“ ეძახოდა; ყველა დარწმუნდა, ავ გრაფს შეუყვარდა პატარა ვაჟი და მისი ცივი გული, როგორც იქნა, გაათბო ამ გრძნობამ.

მაგრამ ის მაინც არავინ არ იცოდა, რომ გრაფი სულ უფრო და უფრო იყვარებდა პატარა ცედრიკს; მისი მომავალის მეტზე აღარაფერზე ფიქრობდა, ენატრებოდა ენახა თავის შვილიშვილი ლამაზ, პატივსაცემ ყმაწვილ კაცათ, რომელიც ყველას ეყვარებოდა; როცა ბავში დიდი წიგნით ხელში ბუხრის წინ ხალიჩაზე გაიშხლართებოდა, გრაფი თვალის მოცილებასაც ვერ ახერხებდა და აღტაცებით მიჩერებოდა ამ თმა ხუჭუჭა შვენიერ ვაჟს.

— რა ნიჭიერია! — ფიქრობდა ხოლმე ის, — ყველაფერს ადვილათ ითვისებს! გარეშეებთან გრაფი შვილიშვილზე ცივი ღიმილით ლაპარაკობდა, მაგრამ ბავშმა მაინც იცოდა, რომ ბაბუას უყვარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერს ურჩევნია და მოწყენილია, როცა შვილიშვილი მასთან არ არის ოთახშიაც, წალკოტშიაც და სეირნობის დროსაც.

— გახსოვს, ბაბუა!—უთხრა ერთხელ გრაფს ცედრიკმა.—ხომ ვთქვი ჩემ ჩამოსვლის დღეს, ძალიან დავმეგობრდებით-თქო? აბა ამაზე უკეთესი მეგობრობაც ხომ მოუხერხებელია!

— მართლა, მგონია რომ დიდი მეგობრები ვართ!—გაიღიმა გრაფმა.— მოდი აქ!

ბავში წამოხტა და მიუახლოვდა.

-- ხომ არაფერი გინდა? ხომ არა გაკლია რა?

ბავშმა პირ-და-პირ თვალებში შეხედა გრაფს.

— მარტო ერთი რაღაცა...—დაიწყო მან.

— მაინც?

ბავში გაჩუმებული იყო.

— თქვი, რა გინდა, რა გაკლია?—გაუმეორა ფრაფმა.

ბავშმა ცოტა ხანს კიდევ იყოყმანა.

— „ძვირფასი“... ნელი ხმით თქვა მან ბოლოს.

გრაფი შეკრთა.

— თითქმის ყოველ დღე ხედავ, არ გეყოფა?

— უწინ მთელი დღეობით ვხედავდი!—მიუგო ცედრიკმა.—ძილის წინ ყოველთვის მოკცნიდა, დილაობითაც სულ ერთათ ვიყავით, რაც გვინდოდა, რამდენიც გვინდოდა, ელაპარაკობდით ერთათ...

გრაფი და პატარა ლორდი პირ-და-პირ უყურებდენ ერთმანეთს. გრაფი მოილუშა.

— არაოდეს არ დაივიწყებ დედაშენს?

— არაოდეს!—უპასუხა პატარა ვაჟმა.—ისიც სულ ჩემზე ფიქრობს. როცა ადამიანთან არ ცხოვრობ, კიდევ უფრო მეტს ფიქრობ იმაზე. თქვენთანაც რომ არ ვცხოვრობდე, მეტს ვიფიქრებდი თქვენზე.

— მართალია, მჯერა!—დაფიქრებით წაილაპარაკა გრაფმა და იჭვი მოეკიდა მის გულს, რომელშიაც პატარა ლორდი დღითი-დღე უფრო მეტ ადგილს იჭერდა.

ე—ჯ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე თავისას გაიტანს.

ორმეტი წლისა იყო ჰალიკო. მის ღარიბ დედ-მამას შვიდი შვილი ჰყავდა; ჰალიკო, როგორც სუფველაზე უფროსი შვილი, კიდეც დადიოდა სამუშაოთ, რომ ცოტა მაინც მიშველებოდა ოჯახს.

სოფელი ტყეებური გარეგნობით შეენიერათ შემკული იყო, ისე რომ ხშირათ ახლო-მახლო ადგილებიდან მოდიოდენ ამ სოფელში დროს გასატარებლათ: ხშირი დიდ-ჩრდილოვანი ხეები, მთა-ბორაკები, ჩანჩქრები და ლამაზათ ყვავილებით შემკული ჰატარა ტბა იზიდავდა მდიდარ მემამულეებს თავიანთ ოჯახობით სასეირნოთ.

თვითონ სოფლელები კი ღარიბები იყვენ, მეტადრე ჰალიკოს ოჯახი, დღიურ ლუკმას ძლივს შოულობდა.

ერთხელ საღამო ჟამს სოფლის ახლოს დადგა ეტლი, იქიდან გადმოვიდა ჰატარა ოთხი-ხუთი წლის ქალი თავისი გადიით. ესენი წამოვიდენ სასეირნოთ შუა სოფელში და მალე მიუახლოვდენ ყვავილებით უცხოთ შემკულ ჰატარა ტბას. გადია ჩაფიქრებული ნელი ნაბიჯით მიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა, ლამაზი ხუჯუჯთმიანი უმაწვილი კი წინ მირბოდა; მრავალ-ფეროვანი ყვავილები და ზურმუხტის ფერი წუალი იზიდავდენ მას. უმაწვილი მივიდა თუ არა ტბის ნაპირს, გაწვდა ყვავილებს მოსაწყვეტათ, მაგრამ ამ დროს გაუსხლტა ფეხი და ჩავარდა ტბაში. ახლო-მახლო არავინ იყო, გარდა ჰალიკოსი, რომელიც ბრუნდებოდა მუშაობიდან და დასასვენებლათ დამჯდარიყო ტბის პირას. ერთი თვალის დახამხამებაზე ჰალიკო ჩავარდა ტბაში და სწრაფათ ამოიყვანა ბავში. გადიამ ერთი შემოიკრა თავში და სანამ მივიდოდა ტბის პირას, გაწუწული უმაწვილები დაუხვდა.

გადია შეეკედრა უმაწვილს ნურავის ეტყვიო, მშობლების ყურამდის რომ მიახწიოს, მაშინვე დამითხოვენო. ფულიც კი შეაძლია; ჰალიკომაც სიტყვა მისცა არავისთან გაგამხელო. გადიამ საჩქაროთ შეაშრო ბავში ტ კაბის მაგივრათ ჩააცვა სიცივისთვის წამოღებული ჩასაცმელი.

ამ დროს ბავში შიშით გაფითრებული და აღელვებული ტიტინებდა, თვალებში შეცქეროდა თავის მხსნელს და ბოლოს მორცხვათ ჰკითხა სახელი.

ჰალიკომ თავის სახელი უთხრა.

უმაწვილმა რამდენჯერმე გაიმეორა „ჰალიკო, ჰალიკო“ო. მალე გადიაც და ბავშიც ეტლისკენ გაეშურენ.

გაწუწული ჰალიკო კმაყოფილი იყო, რომ ბავში გადაარჩინა სიკვდილს და ამასთანავე არც არავინ შეუტეოეს საქმე. უმაწვილი მიეცა ფიქრებს და დიდხანს არ წავიდო-

და სახლში, რომ არ გაეცინებინა, სულ კბილი კბილს აცემინა, მეტი გზა არ იყო, უნდა დაბრუნებულიყო სახლში.

გვიან მისული და დასვენებული ბავში რომ დედამ დაინახა, შეჰკვირა:

— სად გაწუმპულხარ, შე საძაგელო, მაგოდენა კაცი ხარ და ეშმაკობას თავს არ ანებებ, ბითხარ სად გაწუმპულხარ აგრე?

— ამხანაგს დავეჭიდე და ტბაში ჩავარდი, თქვა უნებლივ ტუილი ჰალიკომ.

რამდენსამე ხანს თავს იმაგრებდა ჰალიკო, დადიოდა სამუშაოთ, მაგრამ ვაი იმ მუშაობას, ფეხზე ძლივს იდგა. ბოლოს ცხელებით ავათ გახდა. ბოდავდა რაღაც-რაღაცებს, წამ-და-უწუმ იხსენიებდა ჰატარა ანგელოზ-ქალს, რომლის მხსნელათ ღმერთს ვითომ ჰალიკო გამოეგზავნა და მას უნდა გადაერჩინა სიკვდილისაგან.

დედ-მამა ნაღვლით გადაირიენ, აღარ იცოდენ რა ექნათ, თავიანთ ჰირმშო შვილი ხელიდან ეცლებოდათ.

ერთხელ ბინდისას, როდესაც ბავში ნამეტნავათ შეწუხდა და იტანჯებოდა, მამამ ვეღარ გაუძლო და უქუდოთ გამოვარდა გარეთ. გაიარა სოფელი და უცბათ წააწყდა ეტლს, რომელშიაც იჯდა ჩვენი ნაცნობი გადია და ჰატარა ქალი.

მას შემდეგ რაც ბავში გადურჩა ტბაში დახრჩობას, ის სულ იწეოდა ამ სოფლისკენ, უნდოდა ენახა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსსნელი ჰალიკო, მაგრამ გადიას არ მოჰყვავდა, თუ მოიყვანდა, ისიც სოფლამდის, სხვა-და-სხვა მიზეზებს მოიგონებდა, ეტლიდან არ გადმოახტუნებდა და ისევ უკან წაიყვანდა. ამათ რომ დაინახეს თმა გაწეწილი, ხანში შესული კაცი, რომელიც გამწარებული თავს აწყვეტდა აქეთ-იქით, მაშინვე ეტლი შეაყენეს და დაუწყეს გამოკითხვა.

— შვილი მიკვდება, ჩემი ჰალიკო, ექიმი მინდა, წყალში ჩავარდნილა, ბოდავს ანგელოზ ბავშზე, მიშველეთ, დავიღუპე....

ჰალიკოს ხსენებაზე ბავში გაფითრდა, გულმა მგერა დაუწყო, გადიასაც ეჯვი შეეპარა, ის ემაწვილი ხომ არ გახდა ავათო. უნდოდა ეტლით წაეყვანა კაცი, რომ ექიმი გამოეტანებინა, მაგრამ გამწარებულმა მამამ შეჰმახა:

— მერე შვილი რომ უჩემოთ მომიკვდეს, რა მეშველება!... არა... არა... და სწრაფათ სოფლისკენ გაბრუნდა.

გადია სვინდისმა შეაწუხა, იმის შიშით რომ ადგილი არ დავკარგოვო, ემაწვილს ეურჩი არ უგდო და ახლა რომ მოკვდეს, სულ ხომ ამის ბრალი იქნება.

სწრაფლათ მივიდენ სახლში, გადია გამოუტეხა ეკვლაფერში ბავშის დედ-მამას, ემაწვილი კი ტირილ-ცახცახით გაიმახოდა: ჰალიკო, ჰალიკო...

მემამულემ მაშინვე განკარგულება მისცა ქალაქიდან წამოეყვანათ იმ სოფელში ექიმი, თითონ განთიადისას შეაკაზმინა ცხენი და წავიდა სოფელ ტუებურას.



მთელი სოფელი ფეხზე დადგა, რომ ნახეს დილა ადრიან მდიდარი მემამულე მოაჯენებდა სოფელში; ყველა დიდი სიამოვნებით უჩვენებდა ჰალიკოს სახლს, რადგან ამ შუშაკის ოჯახი ჰატივსაცემი იყო ყველასაგან. სოფლის ყმაწვილები წინ მიურბოდენ ცხენოსანს. გადიამ და ბავშმაც რასაკვირველია ვერ მოითმინეს სახლში, მივიდენ სოფლამდის ეტლით და შიგ სოფელში ფეხით შევიდენ.

ჰალიკოს იმ ღამეს დიდი ოფლი მოსლოდა და ახლა მისუსტებული იწვა, სიცოცხლე არ ეტეობოდა.

მოვიდა ექიმიც, იგი ცდილობდა წამლებით გამოებრუნებინა ჰალიკო.

მემამულე არ ზოგავდა ფულებს, გადია დარჩა მოსავლელათ ამ ოჯახში.

მას აქეთ ჰალიკოს წყალობით ეს ოჯახი გაჭირებული ალარავის უნასავს.

ან. წ—ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲒᲝᲚᲘ.

(გადმოკეთებული).

VI.

Ოიდის გულმოდგინებით სწავლობდა საოჯახო საქმეს გერტი. წავიდოდა თუ არა ტრუმანი სამუშაოთ, ის მყისვე ოთახის წმენდას მოჰყვებოდა, მიალაგებდა ყოველიფერს, დაიჭერდა ხელში თავისავით პატარა ცოცხს და ისე დაიკრიალებდა ოთახს, რომ ერთი ხელის დადება ალაგსაც არ გამოტოვებდა. სულლივანი ყოველ დღე შემოდიოდა მასთან, არიგებდა და ასწავლიდა ყოველისფერს. გერტიც ცდილობდა, ყოველივე აესრულებინა, რასაც კი გულკეთილი დედაკაცი ურჩევდა და ასწავლიდა. ხშირათ საქმის კეთების დროს ხანპური დაეწოდა, ხან საინი გაუტყდებოდა და ტირილს დაიწყებდა ხოლმე, მაგრამ ბიძია ტრუარ უჯავრდებოდა: რა ვუყოთო, ეტყოდა, აწი გაფრთხილდი და აღარ გაგიტყდებაო. გერტიც თან-და-თან უფრო ფრთხილათ ეკიდებოდა ყოველიფერს და ძვირათ თუ წაუხდებოდა რამე. ხასიათიც თან-და-თან გაუკეთდა, წინანდელსავით ანჩხლი აღარ იყო. ერთ კვირა დღეს ის, ტრუმანი, სულლივანი და ვილლი საყდარში წავიდენ; წირვა მოისმინეს და იქიდან გერტი და ვილლი ერთათ დაბრუნდენ. მთელი გზა მათი პირი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩუმებულა. ყოველივე ეკლესიაში ნახული და გაგონილი გერტისათვის სულ უცნობი იყო და ვილლის ეხვეწებოდა, ამიხსენიო, ვილლიც ყოველიფერს უხსნიდა. საღამოზე ტრუმანმა თავის კიბით ლიფლიფების ასანთებათ გასწია.

— გერტი, შენ აღარ უყურებ ბიძიას ლიფლიფების ანთებაზე? ჰკითხა ვილლიმ.

— არა, უპასუხა გერტიმ: — ბარემ წავყვებოდი, მაგრამ გაციედებიო.

— დღეს რომ არ ციეა! ვთხოვოთ და წაგიყვანს; გავისეირნებთ კიდეც და სხვა-და-სხვა სახლებსაც გაჩვენებ.

ბიძია ტრუმ უარი არ უთხრა და ყმაწვილები წაიყვანა. გერტი ჯერ მხოლოთ სულ ლიფლიფებს შეჩერებოდა და, როცა რომელიმე მათგანი აინთებოდა, მის მხიარულებას სამზღვარი არა ჰქონდა. აი, მიუახლოვდენ იმ გადასახვევს, სადაც ნანგრენტი ცხოვრებდა, ბიძია ტრუმანი კარგა შორს მიდიოდა. გერტი ერთბა'მათ შეჩერდა და, თუმცა ვილლი ბევრს ეხვეწა, წამოდიო, მაგრამ არ წაჰყვა. ვილლიმ იფიქრა, წავალ და წამომყვება, აბა რას იზამსო. როცა ვილლი დაშორდა, გერტიმ წამოაელო ქვას ხელი, ესროლა ნანგრენტის სახლის ფანჯარას, ჩაამსხვრია ერთი შუშა და მოჰკურცხლა.

— ეგ რა ჰქენი?! მიაძახა ვილლიმ, რომელმაც შუშის წკრიალი გაიგონა და მიხვდა, რაც მოხდა: — ხომ ფანჯარა გატეხე!

— ვიცი, რომ გავტეხე, უპასუხა გერტიმ: მეც ეგ მინდოდა.

ვილლის ძალიან ეწყინა, მაგრამ აღარა უთხრარა; როდესაც ტრუმანმა გაიგო, ძალიან გაჯავრდა.

— შენ საშინელი გლახა საქმე ჩაიდინე, ეუბნებოდა ის გერტის: ბოროტი ადამიანი ყველასათვის საზიზღარია. შენმა მოქმედებამ იმდენათ მატკინა გული, რომ ჩაის დალევა აღარ შემიძლია.

საბრალო გერტის თავის დანაშაული ჯერ ვერ შეეგნო, მაგრამ გრძნობდა, რომ გულკეთილი ბიძია გააჯავრა და ჩაფიქრდა. მალე ტირილი მორთო და ტრუს შეეხვეწა, ეს ერთი მაპატიე და ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით ვეცდები, გავსწორდე და ამისთანა საქციელი აღარ ჩავიდინოვო.

VII.

— გერტი წაიყვანე, მამაჩემო, და ის წაგაღებიებს ყოველისფერს, უთხრა ერთხელ სულლიევანმა თავის მამას, რომელიც მედავითნეთ იყო ეკლესიაში.

გერტის დაუძახეს. ის დიდი სიამოვნებით წაჰყვა მოხუცს. გერტი ყოველთვის ძალიან მოხარული იყო, როცა ვისიმე დახმარებას და შველას შეიძლებდა. ეკლესიაში ჯერ არავინ იყო, მაგრამ მალე შემოვიდა ხანში შესული მღვდელი, რომელსაც ახალ-გაზდა ქალი მოჰყავდა.

— დიდი მადლობელი ვარ, მამაო არნოლდ, წარმოთქვა ქალმა, როდესაც ეკლესიაში შეეიდენ: — რომ ჩემთვის თავი შეიწუხეთ. დღეს ჯერ არსად გამოესულვარ, რადგანაც წამყოლი არავინ მყავდა. თქვენ მედავითნესთან რაღაც საქმე გქონიათ და წაბრძანდით; მე კი აქ არა მიჭირს-რა.

— ერთ ღარიბ ოჯახში ავათმყოფი ყოფილა და, თუ უკაცრავათ არ ვიქნები, პატარა ხანს მარტო უნდა დაგტოვოთ. უთხრა მღვდელმა.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ, გააწყვეტინა სიტყვა ქალმა: მე არა მიჭირს-რა; წაბრძანდით.

არნოლდი წავიდა. გერტი, რომელიც აქამდე გალავანში დარბოდა, ეკლესიაში შემოვიდა.

— ვინ ხარ? წარმოთქვა ახალ-გაზდა ქალმა, ფეხის ხმა რომ გაიგონა.

— მე ვარ, უპასუხა გერტიმ.

— ვინ შენ?

— გერტი!

— ვინ გერტი? ეკითხებოდა ქალი.

— ვინ გერტი უნდა ვიყო, გერტი ვარ!

— გვარი აღარ გახსოვსთ?

— რის გვარი? მე გერტის მეძახიან და სხვას არასფერს.

— აქ რას აკეთებთ?

— კუპერს ვუცდი. იმას მოვყევი.

— რახან აგრეა, ჩემთან მოდით. მინდა გავიგო, თქვენ ვინა ხართ. ან სად ცხოვრებთ?

— ბიძია ტრუსთან.

— ვინ არის ტრუ?

— ტრუმან ფლინტი; მე მას ბიძია ტრუს ვეძახი. როცა ნანგრენტმა გამომაგდო, იმან წაიყვანა სახლში.

— მაშ თქვენ ის ბავში ხართ, ფლინტი რომ მეუბნებოდა?

— განა თქვენ ბიძია ტრუს იცნობთ?

— როგორ არ ვიცნობ!

— თქვენ რა გქვიათ?

— ემილია გრეგამი.

გერტიმ სიხარულით ტაში შემოჰკრა.

— გიცნობთ! წამოიძახა მან: — თქვენ კაბა მიყიდეთ, წამლები და გემრიელი საჭმელები გამომიგზავნეთ, ავათ რომ ვიყავი. თქვენ გულკეთილი და ლამაზი ხართ. მე მიყვარხართ! გერტი მოეხვია ემილიას და კოცნა დაუწყო, მაგრამ ერთბაშათ შედგა და დაეკითხა:

— ხომ არ გეძინებათ?

— არა! რაში შემატყე?

— თვალები დახუჭეთ.

— დიდი ხანია ასე მაქვს თვალები დახუჭული, ჩემო გერტი, და ველარავის ვხედავ.

— ძალიან მიხარია, რომ ვერ დამინახავთ. წარმოთქვა გერტიმ.

— რათა? გაიოცა ემილიამ,

— იმიტომ რომ ლამაზი არა ვარ. ჩემ სახეს რომ ვერ დაინახავთ, შეიძლება შემიყვაროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა სახისათვის არის ადამიანი საყვარელი?! არა, ჩემო გერტი. ამას გარდა შენ ჩემ მდგომარეობას რატომ არ იღებ სახეში, ნუთუ არ გეცოდები, რომ ქვეყნიერობაზე ალარაფრის დანახვა ალარ შემიძლია?

— როგორ, განა სულ ვერაფერს ვერ ჰხედავთ?

— ველარაფერს!

გერტის ამ სიტყვებმა იმგვარი სიბრალული აღუძრეს, რომ ტირილი მორთო; მისმა ცრემლებმა ემილიასაც კი გული აუჩუყა; მაგრამ ის მალე დამშვიდდა და გერტის მიუბრუნდა:

— რა ვუყოთ, ჩემო გერტი! შევეჩვიე ჩემ მდგომარეობას და ახლა ალარა ვწუხვარ. ერთი ეს მითხარი; ვინ გითხრა, რომ გლახა ხარ და არავინ შეგიყვარებსო?

ყველა ასე ამბობს, ულამაზო ბავშვები არავის არ უყვარსო. უპასუხა გერტიმ.

— ტყუილია. თუ ადამიანი მშვიდი და კეთილი იქმნა, ის ყველას ეყვარება.

— მე არც გულ-კეთილი ვარ, ავი ვარ და ბოროტი.

— უნდა ეცადო, რომ ბოროტი არ იყო. ემილია მოეალერსა გერტის და წარსული ცხოვრება გამოჰკითხა.

ამასობაში მამა არნოლდიც მოვიდა. ბოდიშის მოხდა დაიწყო, ამდენ ხანს გაცდევინეთო.

— მე მარტო არა ვყოფილვარ.

მალე ხალხი მოგროვდა და წირვა დაიწყო. ნაწირვებს გერტი გამოემშვიდობა ემილიას და გახარებული დაბრუნდა სახლში, რადგანაც ახალი მეგობარი გამოუჩნდა.

VIII.

ემილია გრეგამს პატარა გერტი არ დავიწყებია, რადგანაც სხვისი ტანჯვა ჯ გაჭირვება მას ყოველთვის გულს ხვდებოდა; პატარაობისას დაბრმავდა ჯ თავის საკუთარმა უბედურებამ სხვისი უბედურება უკეთ აგრძ-

ნობია. მას ბევრი თხოვდა დახმარებას, შემწეობას და უარი არავის არ მიუღია. ემილიას გერტი განსაკუთრებით შეუყვარდა. მეორე დღეს ემილიამ დაიბარა ტრუმანი, რომ გერტის შესახებ მოლაპარაკებოდა. მოხუცს საშინლათ გაეხარდა, როცა გაიგო, რომ პატარა გერტიმ ასეთი ყურადღება მიიქცია ემილიასი.

— გერტის სასწავლებელში მიცემას არ აპირებთ? დაეკითხა ემილია ტრუმანს, როდესაც უკანასკნელი მოვიდა.

— რა მოგახსენოთ, უპასუხა მან: ჯერ პატარა არის.

ემილია ურჩევდა, მალე მიაბარე სასწავლებელშიო:

— სახლში მარტო ის ვერას გააკეთებს, მოეწყინება და არ ეარგა. სხვებთან კი გაერთობა და გამხიარულდება: გარდა ამისა სწავლის დროც არის. ტანისამოსი თუ დაგჭირდესთ...

— დიდი მადლობელი გახლავართ, თქვენი ჭირიმე! სწრაფათ უპასუხა ტრუმანმა: თქვენი წყალობით ჯერ ყოველიფერი ბევრი გახლავთ.

— ერთი სიტყვით, ჩემო კეთილო ტრუმან, როკორც დაგჭირდესთ რამე, მაშინათვე მე მომმართეთ. რამდენათაც შევიძლებ, ყოველიფერში დაგეხმარებით თქვენ და გერტის; ჩემთვის ეს დიდი სიამოვნება იქნება. მოხუცმა მადლობა ვადაუხადა და სახლში დაბრუნდა.

შაბათს, როდესაც ვილლი მოვიდა, ტრუმანმა გერტის სასწავლებელში მიბარების შესახებ დაუწყო ლაპარაკი. გერტი პატარა ხანს უარობდა, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ ვილლი და გრეგამიც ორივე იმ აზრის იყვენ, რომ იმას სწავლა უნდა დაეწყო, გამოაცხადა, ორშაბათიდან ვივლი სასწავლებელშიო.

ორშაბათს ტრუმანმა წაიყვანა გერტი ქალაქის პატარა სასწავლებელში, რომელიც იმათი სახლის ახლო იყო.

როდესაც მეორე შაბათს ვილლი მოვიდა, გერტი წიგნს უჯდა და კითხულობდა.

— აქ მოდი, ვილლი, ყური დამიგდე, როგორა ვკითხულობ! დაუძახა მხიარული ხმით ვერტიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილლიმ გამოსცადა. გერტი თუმცა გლახათ კითხულობდა, მაგრამ ჯერ ერთი კვირის მეტი ხომ არ უელია სასწავლებელში! კითხვის შემდეგ გერტი მოუყვა ვილლის სასწავლებლის, მასწავლებელი ქალისა და მოწაფეების ამბავს. ყველა ძალიან მოსწონდა და აღტაცებული იყო.

ვილლი სახლში მხოლოთ შაბათობით მოდიოდა. ყოველ შაბათს ის გერტის გაკვეთილებს ჰკითხავდა. ერთი თვე საქმე კარგათ მიდიოდა. გერტი ხალისიანათ დადიოდა სასწავლებელში და სწავლაც არ ეზარებოდა.

ერთხელ, როდესაც გერტი გაკვეთილის შემდეგ სასწავლებლის ეზოში თამაშობდა თავის ამხანაგ-ქალებთან, ქუჩაში ტრუმანი დაინახა. გერტის ძალიან გაეხარდა, გამოვარდა გარეთ და მოხუცს დაეწია, გამოეტიკტიკა და მალე ისევ ამხანაგებთან დაბრუნდა.

— ვინ იყო ის კაცი? ჰკითხეს ამხანაგებმა.

— ვინ და ჩემი ბიძია ტრუ!

— ვინ? —გაიმეორეს ბავშებმა.

— ბიძია ფლინტი! დაიყვირა გერტიმ.

ერთ ქალს სიცილი წასკდა, სხვებიც აჰყვენ და მალე ყველამ ხარხარი დაიწყო.

— რას ილრიჭებით? შეუბღვირა მათ გერტიმ, რომელსაც, ცოტა არ იყოს, გული მოუვიდა.

— რასა ჰგავდა ბებერი მუდო! წამოიძახა ერთმა სიცილით.

ამ სიტყვის გაგონებაზე უფრო დაიწყეს ხითხითი. გერტი სიბრაზით გაწითლდა, გაექანა ამეანაგებისკენ და დაუწყო ყველას ცემა, მაგრამ იმდენს რითი მოერეოდა: ყველაზე მეტი იმას მოხვდა. რომ ეელარას გახდა, გამოვარდა ქუჩაში, გამოიქცა სახლისაკენ, დაწვა და დაიწყო გულ-ამომჯდარი ქვითინი. ეზოში არავინ იყო და გერტიმ დიდხანს იტირა. ბოლოს ფეხის ხმა მოისმა. გერტი გაჩუმდა, მოიწმინდა თვალები და კუნჭულში მიიმალა. ოთახის კარი გაიღო და შიგ ორი ადამიანი შემოვიდა.

— არავინ არ არის, გაისმა ქალის ხმა.

— ნუ თუ სულ არავინ არის? უჰ! მოისმა მეორე ხმა, რომ-ლითაც გერტიმ ემილია გრეგამი იცნო.

— აკი მოგახსენეთ, ნუ წამოგბძანდებით მეთქი. განაგრძო პრ-ველმა.

— ძალიან კარგი ვქენი, რომ წამოველი, უპასუხა ემილიამ,— შენ დასთან წადი, ჩემო ელლის, მე კი აქ მოგიცდი; იქნება, ან ფლინტი მოვიდეს, ან გერტი.

— როგორ გეკადრებათ, რომ აქ იჯდეთ და იცადოთ! უთხრა ელლისმა.

— არა მიჭირსრა, ჩემო ელლის! მე სკამზე დამსვი და შენ კი წადი.

— ძალიან კარგი, მხოლოთ ბუხარი უნდა გავახურო, თორემ შეგცივათ.

ელლისმა გაახურა ბუხარი და, როცა ოთახში დათბა, წავიდა.

მაშინ გერტი წყნარათ გამოვიდა თავის საფარიდან.

— შენ ხარ, გერტი? იკითხა ემილიამ ფეხის ხმის გაგონებაზე.

— მე ვარ! უპასუხა გერტიმ ნამტირალევი ხმით.

— მოდი ჩემთან, ჩემო გერტი!

გერტი ჩაჯდა ძირს ემილიას გვერდით, ჩაუდვა თავი კალთაში და დაიწყო ტირილი.

— რა დაგემართა, ჩემო გერტი? ეკითხებოდა ემილია, მაგრამ გერტი პასუხს არ აძლევდა. ემილიამ გამოკითხვას თავი დაანება, მოეალერსა, დაამშვიდა და სხვა-და-სხვა ამბებს მოუყვა. გერტი მალე დაწყნარდა და გაჩუმდა. როდესაც ემილიამ ჰკითხა, სასწავლებელში დადიხარ, თუ არაო, გერტიმ უპასუხა:

— დავდიოდი და ახლა კი აღარ წავალ.

— რატომ აღარ წახვალ?

— იმიტომ რომ იქაური ბავშები ჭირივით შემძულდენ; საძაგ-ლები არიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას რას ამბობ, გერტი! სიძულვილით არავინ არ უნდა შეიძულო, ყველა უნდა გიყვარდეს.

— არა, ის ბავშები და ნანგრენტი ყოველთვის მეძულება. განა თქვენ კი არავინა გძულსთ?

— არავინ! უპასუხა მშვიდათ ემილიამ.

— მაშ თქვენთვის კატა არავის მოუკლავს, მამა თქვენისათვის ბებერი მუდო არავის დაუძახნია.

— გერტი! უთხრა ემილიამ; როდესაც პირველათ გაგიცანი, მითხარი: ანჩხლი ვარ და ვეცდები გულკეთილი გავხდეო. დაბირებას ასრულებაც უნდა და, თუ კი მოინდომებ, ძნელიც არ არის!

— არ შემიძლია, უპასუხა გერტიმ: როცა გამახელებს ვინმე, გავანჩხლდები, მა რა!

— ჩემო ძვირფასო გერტი, გულკეთილი ადამიანი ღმერთსაც უყვარს და ყველასაც შეუყვარდება. ანჩხლი და ბოროტი კი ყველასაგან გასაკიცხია.—გერტი რამოდენიმე ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ ემილიას უთხრა:

— ვიცი, რომ გულკეთილობა კარგია. თქვენ ერთობ კარგი გული გაქვსთ, ბიძია ტრუსაც, და ძალიან მაყვარხართ, მეც ვეცდები, რომ კარგი გულის გავხდე, რომ უფრო შეგაყვაროთ თავი.

მალე ელლისიც დაბრუნდა. ემილია გამოემშვიდობა გერტის ჯ სახლში დაბრუნდა; გზაზე სულ იმას ფიქრობდა, როგორ დავეხმარო გერტის და გულკეთილი გავხადოვ.

IX.

გერტი მართლაც ისე გაჯიუტდა, რომ სასწავლებელში აღარ წავიდა, თუმცა ტრუმანი ბევრს ემუდარებოდა.

ემილიამ გადაწყვიტა, თვითან ჩაეგონებია როგორმე პატარა ბავშისთვის და ამ მიზნით მეორე კვირას გერტი თავისთან წაიყვანა. გერტის ემილია ისე უყვარდა, რომ მასთან წასვლას როგორ დაიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა. მან ანგელოზების შესახებ მცირე რამ იცოდა და ასე ჰფიქრობდა, ისინი სწორეთ ემილიას ემზგავსებიანო. როდესაც ემილიამ სასწავლებლის შესახებ ჩამოუგდო ლაპარაკი, გერტიმ უპასუხა:

— მე იქ ვერ წავალ, რადგანაც ბიძია საცინათ აიგდეს.

— შენ გაზოესარჩლე ბიძაშენს, უთხრა ემილიამ: რომელსაც, შენი აზრით, შეურაცყოფა მიაყენეს პატარა ქალებმა; მაგრამ აბა ჩაფიქრდი, შენც ხომ შეურაცყოფას აყენებ მას და აჯავრებ მით, რომ მის თხოვნას არ ასრულებ, სასწავლებელში აღარ დადიხარ და დროსა ჰკარგავ? ის არა ჯობია, დაივიწყო ამხანაგების უბრალო სიტყვები, რომლებზედაც ბიძიაშენს სრულიადაც არ მოსდის გული, და მისი სურვილი შეასრულო?

გერტი ჩაფიქრდა; ემილიას სიტყვებმა ააღელვა. ცოტახნის სიჩუმის შემდეგ მან წარმოთქვა:

— ახლა როგორღა წავიდე სასწავლებელში? მასწავლებელი გამიჯავრდება.

— ბიძია ტრუ წაგყვება, მასწავლებელს ყოველიფერს ეტყვის და შენც აღარ დაგსჯიან. შენ ნურავის გააჯავრებ, არიგებდა ემილია, – და, თუ გაჯავრებას დაგიწყებენ, გული ნუ მოგიეა, არამედ მშვიდათ და წყნარათ უთხარი: უნდა გრცხვენოდესთ, რომ მაგისთანა სისაძაგლეს ჩადიხართთქო. თუ ყოველთვის ასე მოიქცევი, ყველას შერცხვება და აღარავინ გაგაჯავრებს. ამით შენც არა დაგიშავებია და ამხანაგებსაც გაასწორებ. ისინი ხომ ბოროტები არ არიან, მხოლოთ დაუფიქრებლობის გამო მოუვიდათ.

გერტი სასწავლებელში წასვლას დათანხმდა.

მეორე დღეს ფლინტმა წაიყვანა გერტი მასწავლებელთან და ყოველიფერს გულახდით მოუყვა. მასწავლებელი შეგირდებს ძალიან გაუჯავრდა, გერტი კი არ დაუსჯია. ამას შემდეგ საქმე ისევ ძველებურათ წავიდა. გერტის აღარავინ აღარ აჰელებდა. პირიქით ის დაუმეგობრდა თავის ტოლ მოსწავლე ქალებს და ჩხუბი ერთხელაც აღარ მოსვლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარმა მალე გაირბინა. დიდგა გაზაფხულის შეენიერი დღეები. გერტის ახლა ღია ფანჯარასთან შეეძლო გაკვეთილების სწავლა. ის ძალიან მოხარული იყო, რადგანაც მთელი ზამთარი ბეჯითათ სწავლობდა და კითხვა და წერა საუცხოოთ შეისწავლა. ხშირათ უკითხავდა ხოლმე გერტი ბიძია ტრუს ხმა მაღლა და ამგვარათ თვითანაც ტკბებოდა და სხვასაც ასიამოვნებდა. კვირაობით გერტი დადიოდა ემილია გრეგამთან, რომელიც მას არიგებდა, უამბობდა ყოველ იფერს, რაც იცოდა და ესწავლა, აძლევდა სხვა და სხვა საყმაწვილო წიგნებს წასაკითხავათ და შემდეგ შინაარსს ჰკითხავდა ხოლმე. გერტიც დიდი სიხარულით უამბობდა.

X.

— ნეტა ვიცოდე, ვინ არის ეს გამხდარი ყმაწვილი ქალი და მოხუცი კაცი? თითქმის ყოველდღე აქ გაივლიან ხოლმე, როცა კარგი ამინდია.—ამბობდა ხანში შესული ქალი, რომელსაც ფანჯარა გაეღო და მიჩერებოდა მივავალ მოხუცსა და ყმაწვილ ქალს. ყმაწვილ ქალს ხელი მოეკიდა წელში მოხრილ მოხუცისათვის და ფრთხილათ მიჰყავდა, თან ქოლგა გაეშალა და მზის მწვავე სხივებისაგან იფარავდა მას. ფანჯრიდან გადმომზირალ ქალს ეს ორი ადამიანი ბაბუა და შვილი—შვილი ეგონა და იმეორებდა:—მაგისთანა ახალგაზდას ღმერთი, რასაკვირველია, შეიყვარებს; როგორ ფრთხილათ მიჰყავს ავათმყოფი მოხუცი!

ეს ყმაწვილი ქალი გახლდათ ჩვენი გერტი, მოხუცი კი—ბიძია ტრუ. ჯანმრთელი, მაკარი მოხუცი ფლინტი, რომელმაც ამ რამოდენსამე წლის წინეთ გერტი თავის სახლში წამოიყვანა, ახლა ძალიან მოუძლურდა, ბოლო ხანებში ავათმყოფობა შემოეჩვია, მაგრამ გერტი ამაგს უხდიდა და ძვირფას მოხუცს არავითარ მოვლას არ აკლებდა. ფლინტს ჯერ კიდევ არა უჭირდარა, მაგრამ დამბლა დაეცა და ამან სრულიად დააუძლურა; თუ არავინ

უშველიდა, ისე ველარ დადიოდა. ექიმმა ურჩია, რაც შეიძლება, მეტი ისეირნეო. ამიტომ ყოველ დილას, როცა ჯერ ისევ გრილოდა, გერტი მოჰკიდებდა მოხუცს ხელს, წაუძღეებოდა წინ ფრთხილათ ⁄ წაიყვანდა სასეირნოთ. ერთხელ, როდესაც მოხუცი სიარულით დაიღალა, სახლში ადრე დაბრუნდენ; ამათ ელოდათ ემილია გრეგამი.

— ბიძია ტრუ, ეცი, ვინ არის აქ? ჩვენი ძვირფასი ემილია გრეგამი; შენ სანახავათ მოვიდა აგარაკიდან.

— ღმერთმა გადაუხადოს! წარმოთქვა ტრუმანმა და ზეზე ადგომა داااპირა. ემილიას რა მისი ხმა და მოძრაობა შემოესმა, მიატანა:

— ზეზე ნუ ადგებით, ჩემო კეთილო ფლინტო! დღეს ბევრი გისეირნიათ და დაღალულხართ.

— მე ის აღარა ვარ, ჩემო ძვირფასო ემილია, ამ ორი თვის წინეთ რომ დამტოვეთ. წარმოთქვა მოხუცმა აკანკალებული ხმით. —ღმერთი მიხმობს; დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია. იყავ ნება უფლისა!

— მერე რატომ არ შემატყობიეთ? შენ მაინც რატომ არ გაგახსენდა, გერტი? დღეს შემთხვევით გავიგე ჩვენი მებალისაგან, რომელიც ქალაქში იყო და თქვენ დაენახეთ ქუჩაში, ბიძია ტრუ ისე სუსტათ მიდიოდა, რომ ძნელი ავათმყოფობა უნდა გამოეელოსო; გერტის მიჰყავდაო.

— რისთვის უნდა შემეწუხებიეთ. თქვა ტრუმანმა:—ღმერთმა ყოველიფერი მომცა. ვერავინ ვერ მომიელიდა ისე, როგორც ჩემმა გერტიმ მომიარა. სწორეთ ვერ მოვიფიქრებდი მაშინ, როცა ეს ჩემთან მოვიყვანე, თუ ასე დავუძლურდებოდი და ეს დამიწყებდა პატრონობას, მასმევდა, მაჭმევდა და ასე მომიელიდა!

— ბიძია ტრუ, ნეტავი კი შემეძლოს რამე, რომ შენთვის არ დაეიშურო. თქვა გერტიმ,—აი ჯანს რომ მოგიმატებდე, მაშინ სხვა იქნება. მე ადვილათ შემიძლია შენი შენახვა, ჩემო ბიძია! შემიძლია, საკერავები ვიშონო, შენც გარჩინო და ჩემი თავიც ვირჩინო. ანუ-გეშა გერტიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯულკეთილო ფლინტო, ჩამაბარეთ თქვენი გერტი. თქვა ემილიამ—როგორა ჰფიქრობთ, გაძლებს თუ არა თქვენს შემდეგ ჩემთან?

— თქვენთან?! თქვენთან გერტის რა უჭირს! თუნდა ანგელოზთან ყოფილა.

— დიდი სიამოვნებით წავიყვან გერტის და ისეთ გზაზე დავაყენებ, როგორც თქვენ თვითონ გსურდათ.—უპასუხა ემილიამ.

გერტის უნდოდა მივარდნოდა ემილიას და გადაეკოცნა, მაგრამ იფიქრა, ამით უფრო ავალელვებ მოხუცსო, რომელმაც ემილიას სიტყვების გაგონებაზე ბავშვივით ტირილი დაიწყო. როცა ცოტა დამშვიდდა, წარმოთქვა.

— ღმერთი გადაგიხდისთ, დაუფასებელო ემილია, განაგრძო მოხუცმა.—როდესაც გერტი ჩემთან მოვიყვანე და თქვენ პირველათ გთხოვეთ რჩევა, ასე მითხარით: ღმერთმა დაგლოცოს მაგნაირი კეთილი საქმისთვისაო, ახლა მეც თქვენსავე სიტყვებს გაგიმეორებთ: ღმერთმა დაგლოცოსთ მისთვის, რაც ჩემთვის და ჩემი გერტისთვის გწადიათ. მალე ემილიას წასაყვანათ მოვიდენ.

— მშვიდობით, ჩემო ანგელოზო! ეუბნებოდა მოხუცი გამომშვიდობებისას. – შეიძლება, ველარ გიხილოთ, მაგრამ გახსოვდესთ, რომ მომაკვდავს იმდენი ბედნიერება მიანიჭეთ, რომ მას მეტი აღარაფერი უნდოდა.

ღამე, როცა ტრუმათი დაწვა, გერტის თხოვა, ჩვეულებისამებრ სახარებიდან ერთი თავი წაეკითხა. როდესაც გერტიმ კითხვა გაათავა, მოხუცმა დალოცა და შემდეგ ჰკითხა:

— გერტი, ემილია გიყვარს?

— ძალიან!

— მე რომ აღარ ვიყო, ხომ ყველაფერს დაუჯერებ მას?

— შენ ჩემთან უნდა დარჩე, ჩემო ბიძია, წარმოთქვა გერტიმ და თვალებზე ცრემლები მოერია.—უშენოთ მე ვერ ვიცოცხლებ.

— ემილია უკეთ გიპატრონებს, ჩემო ცქრიალა! შენ მასთან ბედნიერი იქნები.

— უშენოთ არსად არ ვიქნები ბედნიერი; სიკვდილი მირჩევნია.

-- მაგას ნუ ამბობ, გერტი! შენი ცხოვრება ჯერ წინ არის, უნდა იცოცხლო, რომ სხვებს სარგებლობა მოუტანო. ემილია გასწავლის, აღგზრდის და, როცა გაიზრდები, მაშინ შენ იზრუნებ მისთვის. ის ბრმა არის, ავათმყოფია და ყველას მოსიყვარულე. მეგობარი მას სხვაზე უფრო ეჭირვება.

მოხუცი დიდხანს კოცნიდა ამის შემდეგ ღვთისგან ნაჩუქარ შვილს და შემდეგ დასაძინებლათ გაისტუმრა.

გერტი ი'ე აღელვებული იყო, რომ რამოდენსამე ხანს ძილი არ ეკარებოდა; მაგრამ რა კი დაეძინა, გათენებამდის აღარ გამოღვიძებია. ეზმანა, ვითომც შვენიერი დღე იდგა. ის, ვილლი, სულლიევანი და ბიძია ტრუ ქალაქ-გარეთ დასეირნობდენ. ვითომ ბიძია ტრუ კარგათ იყო, მხიარულათ. პეპელები დაფარფალობენ, ჩიტებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ... გერტის ასე კარგ გუნებაზე არაოდეს არ უგრძვნია თავი. სანამ მძინარე ბავშვი ამ საამო სიზმარში იყო, კეთილმა მოხუცმა მელიფლიფემ სული განუტევა.

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიტნა და ნიოკრი.

იორმა უთხრა ჰიტნასა:
სუნით გაქვს ჰატივდებაო,
თვარა ისე რომ შეგხედავ,
თვალები ამტკივდებაო.

—

„რას გავსარ, ერთი მითხარი,
დაკორძილი გაქვს ლერიო;
სირცხვილიც არის, ბოსტანში
შენც რომ ჩვენ რიცხვში ერიო!

—

„უმგვანო რამ ბალახი ხარ,
არვინ გიკეთებს კვალსაო,
და არც დაგასხმენ გვალვაში
მოსარწყავათა წყალსაო!

—

„მე კი მივლიან, ჩემთვის კვალს
განგება დაბარვიანო,
და ზედ ჰატივათ ნაგავსა
გულ-უხვათ დააყრიანო.

—

„და მაშინ ერთი შემხედე
რა სანახავი ვხდებიო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს მუშტის ოდენს ვიკეთებ,
ღერ-ფოთლით ვფართოვდებიო.

—

„შენ კი, საბრალო ბალახო,
ჩემთან რა გეთქმის აბაო,—
შენ თავი ჩემებრ ლამაზი
აბა ვინ გამოგაბაო?!

—

ჰიტნამ ეს უთხრა:— „ნიორო,
თავი დიდი გაქვს შენაო,
მაგრამ შიგ ჭკუა არა გაქვს,
მე ასე მომეჩვენაო.

—

—„სიმურალე მოგდგამს საზარი,
მისთვის რათ ამაუდებიო?
კვალი თუ არ გაგიკეთეს,
უფრო მეტს გამურალდებიო.

—

—„ჩემზე კი შრომა არ უნდათ
მაგდენი არაფერიო,
და სარგებლობა კი მომაქვს
მე კაცისათვის ბევრიო.

დ. თომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვთა ჯკუა-გონებაᲜ

V. ფრინველი — ფეიქარი,

იდ ჯკუას, ოსტატობას ᲓᲐ გამოცდილებას იჩენენ ფრინველები ბუდეების კეთების დროს; აქ ნათლათ ისატება იმათი ნიჭი, გონების გამჭრიახობა, მოთმინება, შრომის მოუვარეობა, გემოვნება და სხ. ეველას გინახავთ, რასაკვ რველია, რა ხელოვნურათ და მკვიდრათ აშენებენ, კაი კალატოზებივით, მერცხლები თიხის ბუდეებს თავისი შვილების თავშესაფარებლათ და გამოსაზრდელათ, ან სხვა ფრინველები რა მოხერხებულ ადგილს ეებნიან, რომ ქარის, წვიმის, ᲓᲐ ათასი მტრების წინააღმდეგ უზრუნველ ეოფილ იეონ. ᲫᲐᲒᲠᲐᲛ ამ საქმეში ეველაზე მეტ ოსტატობას, გამჭრიახობას და გემოვნებას იჩენენ ერთ გვარი ფრინველები, რომლებიც ბეღურეების ჯიშის ერთ განსაკუთრებულ ნათესაობას ეკუთვნიან. ფრთოვან სამეფოში ისინი მართლა რომ დახელოვნებულ ბუდის მკეთებლებათ ითვლებიან და ამიტომ იმათი შედარება ფეიქართან და ამ სახელის წოდება გაზვიადებულიც არ იქნება.

ეს ბუდეები ᲫᲝᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘᲐ ბალახებისაგან. შიგ შესასვლელი გზა წარმოადგენს გრძელ გვირაბს, რომელსაც

კარები ძირისაკენ აქვს დატანებული. ესეც განგებ და წინათვე მოფიქრებული მოსაზრებით არის ასე გაკეთებული ფრთოვან მტერთა თვალების ასახვევათ. ამავე მოსაზრებით ბუდე მიბმულია მოქნილ ტოტზე, რომელიც წვალს გადაჰეურებს. ამისთანა სიფთხილის წესლობით ჯკვიანი ჩიტების სახლები, ხელ მაუწვდომელია ეშმაკი და გამოქნილი მაიმუნებისთვისაც კი. ესენი ძალიან ემტერებიან ფრინველების ბუდეებს. ბევრი ცდის შემდეგ მაიმუნი იქნება როგორმე აბობღდეს ბუდესთან და ჰგონია, ეს არის ღმერთმა ხელი მომიმართაო, რომ უცბათ წვალში ეირამალა დაერჯობა, რადგანაც ტოტი დაიზნიქება, ვერ გაუძლებს მაიმუნის სიმძიმეს.

ეს ფრინველები ხშირათ სახლებზედაც იკეთებენ ბუდეებს და ჩვენი მერცხლებივით, ან ბელურებივით ადამიანებს სრულიად არ ერიდებიან; გაისედავთ და სახურავზე ჩამოუკონწიალებიათ რამდენიმე ბუდე.

შესანიშნავია, რომ ინდოეთის ბელურა-ფეიქარს, ან „ბოია"ს, როგორც იქ ეძახიან, ჯკუა იქნამდი მიუწვდება, რომ ბუდეს რამდენიმე თვლიანს იკეთებს: ერთი თვალი დერეფანივით არის დატანებული, მეორეში — დედალი დებს კვერცხებს, მესამე მამლისათვის არის დანიშნული: აქ ის თავის მუსიკალურ ვარჯიშობაში, გალობაშია გართული. თუ მოვიგონებთ, რომ რამდენიმე-თვლიან სადგომებს უფრო მაღალი წოდებისა და განათლებული სალხი საჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებს, ელტვის,—დაბალი წოდებისა და მუშა კაცი კი ერთ ოთახსაც კმაუოფილდება,—მაშინ ამ ჩიტების ბუდეების ასე განსხვავებით კეთებამ ჩვენ თვალში დიდი მნიშვნელობა უნდა იქონიოს...

ამაზე უფრო საკვირველი ჩვეულება ინდოეთის ბოიებისა არის სადგომების განათება. გაგონილი გექნებათ, რომ ინდოეთში არიან დიდრონი ციცინათელები, რომლებიც სანთელივით შუქს გამოსცემენ. აი ამ ციცინათელებს მიაკრავენ ბოიები თიხით ბუდეებში და ისე გაინათებენ სადგომებს, როგორც ჩვენ ოთახებს ლამპრებით. ბუდის თითოეულ განუოფილების ჭერში ზოგჯერ სამი-ოთხი ციცინათელაა მიკრული, რომ მეტი შუქი იყვეს. ამათი შუქი აბრმავებს და უშლის ბუდეში შესვლას ღამურეებს, ჩიტის ბარტყების მტრებს.

ზოგიერთი ჯიში ამ ფრინველებისა ხშირათ იკეთებენ საერთო სადგომებს, სადაც ფრთოსანთა მთელი საზოგადოება ერთათ ცხოვრობს. ამ საერთო სადგომისთვის ბეღურა-ფეიქრები ჯერ მოხერხებულ ხეს მოძებნიან და ამ ხეზე საერთო შრომით შეუდგებიან უზარ-მაზარ, ქოლგის მსგავს, სახურავის შენებას. ამ სახურავს საკუთრათ ბალახისაგან სწნავენ და შიგ ისეთ მაგარსა და მკვიდრ მასალას ურევენ, რომ შსაბუნა წვიმებიც კი ვერას აკლებენ. ამ საერთო სახურავ-ქვეშ თითოეული წუკილი ფრინველი იკეთებს საკუთარ ბუდეს. მაგრამ ეს ცალ-ცალკე ბუდეები

ისე არიან ერთმანეთზე მჯიდროთ გადაბმულები, რომ ერთი შეხედვით ერთიანი გეგონებათ, მხოლოთ შესასვლელი ნაპრალი თუ ჰყოფს ერთს მეორისგან. ეს შესასვლელიც ზოგჯერ ორ-სამ ბუდეს ერთი აქვს.

გამოუანგარიშნიათ, რომ ერთ სახურავ ქვეშ 320 ამისთანა ცალ-ცალკე ოთახებია. თითოში რომ წუვილ-წუვილი ჩიტი (დედალ-მამალი) ვიანგარიშოთ, ამ საერთო ბუდეში ერთათ 640 ჩიტი ცხოვრობს.

მოშინაურება ამ ფრინველებისა ძალიან ადვილი ჰყოფილა. დედალ-მამალი რომ გალიაში ჩასვან და ფერადი მაფები შეუწყონ, მაშინვე შეუდგებიან ბუდის ქსოვას და მაფებს ისე შეუფერებენ ერთმანეთს, როგორც რაიმე ნაკერის რამეებს.

ფეიქრები მცენარეების კლერტოებისაგან და ბალახებისაგან აკეთებენ ბუდეებს. ამ ღეროებს არბილებენ რაღაც წებოიან სითხით. გარედან მამალი ქსოვს ბუდეს, შიგნიდან—დედალი. მეუღლეები ერთმანეთს აწვდიან შენობის მასალას და ზოგჯერ ახირებული ჩხუბიც მოსდით ამ დროს. ბუდეს ასრულებენ ერთი კვირის განმავლობაში; შემდეგ დაატანენ შესასვლელ გვირაბს, რომელსაც კარები ძირიდან აქვს; შიგნით კედლებს გაასწორებენ, გაასუფთავებენ, ძირს რბილ საფენს დააგებენ და იწყებენ შიგ ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI შესაბმელი თევზი.

— შესაბმელი თევზიო?! შესაბმელი, თუ შესაჯმელი თევზი უნდა გეთქვა? დამეკითხებით.

— არა, შესაბმელი, სწორეთ შესაბმელი თევზი.

— შესაბმელი ცხენი კი მინახავს, ხარი, კამეჩი ტ სხ. მაგრამ თევზისა კი რა მოგახსენოთ. „იო და არა იო რა“-თი მაინც დაიწყებდი, თუ ზღაპარია.

ამერიკის ერთ ქალაქში ცხოვრობდა ვინმე ჭენრი მილლერი, რომელმაც ჰთელი თავისი სიყმაწვილე ერთ დიდ ტბის ნაპირების ახლოს გაატარა. ამ ტბაში თევზების სიმრავლე იყო და ხშირათ თევზაობდენ ბადეებით. ერთხელ იქ დაიჭირეს ერთი ზუთხი, რომელიც არშინ-ნახევარი იყო სიგრძით და სამი ფუთი სიმძიმით, 18 წლის ჭაბუკი ჭენრი ეშმაკის მომგონი ბიჭი იყო და ამ თევზს ფიცრის დიდი გალია გაუკეთა, ჩაუშვა ტბაში, მიაბა ტივზე და ჩასვა შიგ თევზი. გალიაში წყალი ადვილათ შედი-გადიოდა და ამიტომ თევზი მუდამ ახალ მდინარე წყალში იყო და ჭაერიც წმინდა ჰქონდა. ამ თევზს სახელათ დაარქვეს „ტობი“. მილლერი თევზს გულმოდგინეთ უზიდავდა ბურს, ხორცს, ჭიებს და სხ. და ასე შეიჩვია და შეაჩვია თავის ხმას. ყოველ დამახებაზე თევზი საჩქაროთ მაღლა ამოცურდებოდა; ჭენრი ეფერებოდა, ხელს უსვამდა, როგორც კატას, ზურგზე, გვერდებზე, მუცელზე; ეტყობოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზს ეს ალერსი ესიამოვნებოდა, რადგანაც ამ დროს ხან ერთ გვერდზე გადაკოტრიალდებოდა, და ხან მეორეზე. ეს თევზი ნახა მილლერის ერთმა ნაცნობმა ფრანგმა, მეტათ ძოეწონა და გაუკვირდა იმისი ასეთი გონივრობა და იკისრა იმისი გაწრთვნა, დაგეშა. ჭენრი დათანხმდა, ფრანგმა წაიყვანა თევზი და ორ თვეს შემდეგ ისევ დაუბრუნა პატრონს. იმას ესწავლებინა თევზისთვის ნავის ტარება. ჩამოაცმევდენ თევზს ცხენის საკისრესავით თასმას, ამ თასმაზე მოსართავებით მოაბამდენ თოკს და ამის წვერს—ნავზე.ტომი ატარებდა ნავს და შიგ მსხდომ ორ ადამიანს, ის მორჩილებით ასრულებდა ყოველივე ბძანებას: როცა უნდოდათ მარჯნივ ან მარცხნივ მიებრუნებინათ ნავი, დაჭკრავდენ წყალს შოლტს თევზის თავის ან მარცხენა, ან მარჯვენა მხრისკენ; როცა ნავის გაჩქარება უნდოდათ, საკმაო იყო თევზის ზურგთან შოლტის დაკვრა და სხ. ამ გვარათ ტომს რამდენიმე საათის განმავლობაში შეეძლო ნავის ტარება. ჭენრი მუდამ დღე ნავის თევზით დადიოდა სათევზაოთ.

ბევრს შეშურდა ესა და ცდილობდენ სხვა თევზებიც დაეგეშათ, მაგრამ ყოველმა შრომამ ამაოთ ჩაუარათ და ტომს მეტოქე ვერ გამოუჩნდა. სამი წელიწადი ატარებდა ტომი თავის პატრონს წყალში და არც ერთხელ რაიმე უსიამოვნება არ მიუყენებია. ამას შემდეგ მილლერის ოჯახობა იქიდან გადასახლდა და ნება-უნებურათ უნდა გამოთხოვებოდა ამ საკვირველ თევზსა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ ა ღ ლ ი. აი, რა ერთგული და მოსიყვარულეა ძაღლი თავის პატრონისა და ამასთან რა დიდი მახსოვრობა და მოთმინება აქვს: შვეიცარიაში ერთმა კაცმა მიიყიდა ძაღლი თავის ნაცნობს, რომელიც ძალიან შორს ცხოვრებდა, და რკინის გზით გაუგზავნა. რამდენსამე დღეს შემდეგ ძაღლი ამ ახალი ბინიდან დაიკარგა და კიდევ ორ კვირას შემდეგ ის საშინლათ მოუძლურებული, დასუსტებული თავის წინანდელ პატრონს კარს მიადგა. დაღალულობისა და ხანგრძლივ მოგზაურობაში გამოვლილ განსაცდელის გამო ძაღლმა რამდენსამე დღეს შემდეგ სული განუტევა თავის საყვარელ პატრონის სახლში.

მ ა ი მ უ ნ ი ს ჯ კ უ ა. ერთ ოჯახში ცხოვრებდა გაშინაურებული მაიმუნი. ის ძალიან შეთვისებული იყო თავის პატრონებთან და მეტადრე ერთ პატარა ბავშთან, რომელიც მთელი ოჯახის საყვარელი იყო. ერთხელ მაიმუნის პატრონის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. არეულობაში როგორ-

ღაც ეველას გადაავიწყდათ ბავში, რომელიც ზემო სართულის ერთ ოთახში დარჩენილიეო და მოაგონდათ ის მაშინ, როცა ეველა კიბეები გაძლიერებული ცეცხლის ალში მოქცეულიეგენ. გზა დაკარგულმა დედ-მამამ ალარ იცოდა რა ექნა!... უეცრათ სახლის ეზოში თავმოყრილმა ხალხმა თვალი მოჰკრა, რომ ბავშის ოთახის ფანჯარას ვიღაც აღებდა. ცოტა ხანს შემდეგ ფანჯარაში გამოჰეო თავი მაიმუნმა. მას აეევანა ხელში ბავში, თავისი მაიმუნური სიმარდით კედელზე ჩამოცოცდა და უვნებლათ გადასცა მიმას. ასე გადაარჩინა ბავში სიკვდილს, რომელიც მიუცილებლათ მოსალოდნელი იეო.

თ. კანდელაკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველებანი გუნებისა

8.

ბუშტოსანა (Utricularia oulgaris)

ს მცენარე ისეთივე გემოვნებასაა, როგორც ნეპანტირი. ამასაცა აქვს ისეთი საკვირველი მანქანა, რომ ნეპანტირს არაფრით არ ჩამოუვარდება; თუმცა ის სილამაზე და ის მედიდური სანახაობა ღმერთს მისთვის არ მიუნიჭებია.

ბუშტოსანა წყლის მცენარეა; უყვარს უფრო გუბეებში ცხოვრება. მისი ძრო მეტის-მეტი სუსტია, ღარიბი; მისი ყვავილი—მკრთალი ბოყვითანო ფერისაა. მირი ანუ ფესვები არა აქვს მიმაგრებული მიწაში და თავისუფლათ დასეირნობს წყლის სიღრმეში.

შეუძლიან ამასთანავე, როცა ჭსურს, ამოვიდეს წყლის ზემოთ, დაათვალიერონს ქვეყნიერობა, გაახილოს თვალი და შემდეგ, როდესაც მოიწადინებს, დაეშოს ისევ გუბის სიღრმეში. ამ შემთხვევაში მას ჭშველის მისი ფოთლები.

ეოველივე მის ფოთოლს მიმსხდარი აქვს მრავალი წვრილ-წვრილი ბუშტები და ეს ბუშტები სავსეა მუდამ

ხან წულით, ხან ჭაერით: წულით მისთვის, რომ მცენარე დამძიმდეს და დაეშოს გუბის სიღრმეში და ჭაერით — რომ დამჩატდეს და ამოცურდეს გუბის ზევით.

ასეთი ცურვის იარაღი აქვს ამ მცენარეს და მარტო ეს ერთი გარემოებაც საკმარისი იყო, რომ ჩვენ ეს ბუშტოსანა ბუნების საკვირველებათ ჩაგვეთვალა. მაგრამ ზოგიერთი ბუნების მცოდნენი უფრო შორს მიდიან.

ისინი ამტკიცებენ, რომ ბუშტოსანას ეს იარაღი მარტო ცურვისთვის არა აქვს, რომ ის იმითი იჭერს წულის წვრილ-წვრილ მწერებსო და ჩვენც ეს აზრი უფრო სარწმუნოთ მიგვაჩნია.

ეველა ბუშტას ამ მცენარისას აქვს თითო ბაწია ნაჭვრეთი და ამ ნაჭვრეთს შემომწკრიებული აქვს გარს წმინდა მაგარი ბუსუსები. ბუსუსების უკან აბია ერთი ასეთივე ბაწია კარი, რომელიც შეიღება მხოლოთ შიგნით. — ხერხიანი და მასთან ულობელი მახეა, შესასვლელათ ადვილი, გამოსასვლელათ შეუძლებელი.

ვაი მის თავს, თუ რომელიმე უგუნური მწერი მიაწვა ამ კარს, შე'ღო და ჩავარდა ბეშტში, ბისთვის გამზადებულ სამარეში. მისი საქმე გათავებულია, მისი ხსნა შეუძლებელია.

ჯერ კი ბირველში მწერი არას ჭვრმნობს: დაცურავს უფიქრებლათ იმ ერთ წვეთ წყალში, თავი თავისუფალი ჭვონია. მაგრამ ბუშტოსანა არ ადროვებს მეტ ხანს; გამოუშვებს ერთნაირ წვეთს ის ბუშტი, რომელსაც შეხეროვილი ჭეავს ტეეე და ჭნახავ, რომ მწერი ხელათ გაჭერა. მცენარემ შეჭამა.

ლადო ალნიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახტომი.

(ნათარგმნი)

ერთ ხომალდს შამოევლო დედა-მიწის ირგვლივ და ახლა ბრუნდებოდა საშობლოში. შვენიერი დარი იდგა. ზღვა სარკესავით ელვარებდა, უველა მგზავრები ერდოზე გამოსულიუვენ. ამათ შორის მოუსვენრათ დასტოდა ერთი მაიმუნი, რომელიც თავის საქციელით სიცილს იწვევდა ხალხში. მაიმუნი ხან იგრიხებოდა, ხან იჭუანებოდა, ხან ვინმე მგზავრს თავს გადაახტებოდა ხოლმე. რამდენსაც ხალხი იცინოდა, იმდენ მეტ ოინებს ჩადიოდა მაიმუნი.

გემის ერდოზე იდგა 12 წლის უმაწვილი — გემის უფროსის შვილი. მაიმუნი მიეპარა ამ უმაწვილს, მოსტაცა ქუდი, დაიხურა თავზე და ანძაზე ასტა. უველას გაეცინა. უმაწვილი კი იდგა ერთ ადგილას, არ იცოდა, ეცინა თუ ეტირა. მაიმუნი დაჯდა ანძის ჰირველ საფეხურზე, მოიხადა ქუდი და დაუწეო მას კბილებით გლეჯა, თან უმაწვილისკენ იხედებოდა და უცინოდა მას. უმაწვილმა მუქარით შეჰხედა მაიმუნს და დაუუვირა, რომ ქუდი ძირს ჩამოეგდო, მაიმუნმა უფრო მეტი სიბრაზით დაუწეო

ქუდს ჭმუჭვნა, ხალხმა ხმამაღლა ხარხარი მორთო. უმაწვილი გაწითლდა. წამს გაიმრო თავის ზედა ჩასაცმელი და მოახტა ანძის პირველ საფეხურს. მაიმუნი მეორე საფეხურზე ახტა. „ვერ წამიხვალ, შე საძაგელო“, შეჭმახა მაიმუნს და მარდათ აჭევა მას საფეხურზე. მაიმუნი თანდა-თან მაღლა ადიოდა. გაგულიანებული უმაწვილი ფეხდა-ფეხ მისდევდა მას. ერთ წამს შემდეგ მაიმუნი და უმაწვილი ანძის წვეროზე მოექცენ. აქ მაიმუნმა ერთი ხელი თოკს ჩაჭკიდა, გაიგრძელა ტანი და მეორე ხელით ქუდი უკანასკნელ საფეხურის წვერზე ჩამოჭკიდა. თვითონ კი ისკუპა და ზედ ანძის წვეროზე დასკუპდა. აქედან დაუწეო მან უმაწვილს ღრეჯა და სიცილი. იმ ადგილამდე, სადაც ქუდი ეკიდა, ანძიდან ორ ადლზე მეტი იქნებოდა, ასე რომ ქუდს ისე ვერ მოავლებდა უმაწვილი ხელს, თუ ერთ და იმავე დროს ანძასაც არ მოშორდებოდა და თოკსაც. ბრაზმორეული უმაწვილი შიშს ვერა გრძნობდა. ის ერთი აზრით იყო გატაცებული: ქუდი უნდა წაერთმია. მგზავრები, ხითხითებდენ და სიამოვნებით შეჰყურებდენ ამ ბრძოლას; მაგრამ როდესაც შენიშნეს, რომ გატაცებულმა უმაწვილმა ანძასაც დაანება ხელი და თოკსაც და ისე გაჭევა უკანასკნელ საფეხურს, მაშინ კი სიცილი შიშათ შეეცვალათ. სულ განაბული შეჰყურებდენ; ერთი რომ ფეხი გადაცდენოდა უმაწვილს, გოგრასავით დაასკდებოდა გელის ერდოს; ვერც ქუდს მოჭკიდებდა ხელს უმაწვილი, რომ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეშავებინა რა და ვერც უკან დაბრუნდებოდა. უმაწვილი კიდეც ირწეოდა. ერთი წამი კიდევ და გადმოვარდებოდა. ამ დროს ვიღაცამ ხმა მაღლა ამოიოხრა. ამ ამოოხრებამ გამოარკვია უმაწვილი. ის მხოლოთ ახლა მიხვდა თავის საშიშარ მდგომარეობას. ჩამოიხედა ძირს და დაბარბაცდა. სწორეთ ამ დროს ამოვიდა გემის ერდოზე მამა უმაწვილისა, გემის უფროსი. მას ხელში თოფი ეჭირა ცელ-მანგალას (ზღვის ფრინველია) სასროლათ; რომ დაინახა თავისი შვილი ამ საშინელ მდგომარეობაში, დაუმიზნა მას თოფი და დაუყვირა: „წყალში, ამ წამში წყალში გადახტი, თორემ მოგკალიო! ერთი, ორი, სა...“ ამ უკანასკნელ სიტყვაზე ბავში გადმოეშვა ზღვაში. იმ წამს გადაცვივდენ გემიდან ოცი-ოდე მარჯვე მცურავები და ნახევარ წუთას შემდეგ ამოიყვანეს ზღვიდან ცოცხალ-მკვდარი უმაწვილი. ცხვირიდან და პირიდან წყალი წამოუვიდა. ჰატარა ხანს იქით სული მოითქვა. გემის უფროსმა მხოლოთ ახლა ამოიხვნეშა და მსწრაფლ გაეშურა თავის ოთახში, რომ მისი ცრემლები არავის დაენახა.

ბესარიონი.

ხ ა რ ა ზ ი.

(ი გ ა ვ ი)

ეო ერთი ხარაზი, რომელსაც უცნაური რამ სენი ჭირდა: როდესაც მის წინაშე ვინმე სხვა ხარაზისაგან შეკერილ ჩექმებს მოიწონებდა, მას თავბრუ

ეხვეოდა, გული უწუხდებოდა და ლოგინათ ვარდებოდა. რამდენათაც სიბერეში შედიოდა, იმდენათ ამ ხარაზს თავისი სენი უძლიერდებოდა. ბოლოს, საქმე იქამდის მივიდა, რომ საბრალო ხარაზი გადადებული ავათმეოფი შეიქნა.

მისმა მეგობრებმა იფიქრეს, ითათბირეს და ავათმეოფის სანუგეშებლათ და გამოსაბრუნებლათ ასეთი ღონე არჩიეს: მივიდენ ყველანი ერთათ ლოგინში მწოლიარე ხარაზთან და მის დასარწმუნებლათ ტუილათ შეჰფიცეს: „ხელმწიფემ ბრძანება გასცა, რომ ამიერიდან ჩვენ ქვეყანაში ყველას, შენს გარდა ხარაზობა, უნდა აეკრძალოსო; ხარაზებს უფლება ეძლევათ დურკლობას მიჰყონ ხელი; ხოლო ვისაც ეს არ ჰსურს, უნდა სხვა ქვეყანაში გადასახლდესო“.

ავათმეოფმა ხარაზმა ეს რომ მოისმინა, უფრო შეშფოთდა. „თუ კი ხარაზობას ყველას მიატოვებინებენ, მაშ მე ვის-ღა უნდა შემადარონ და მამჯობინონო“, წარმოთქვა საშინელი მწუხარებით და კვლავ განუტევა სული.

ალ. მ—წვილი.

ყველას თავის გზა აქვს.

ეჰ, რა ცოტა გაგივლია! ეუბნებოდა წამის მაჩვენებელი ისარი საათის მაჩვენებელ ისარს:—რა ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა გაგივლია რაი შენ გაგშორდი; მე აი რამოდენა გზა გავიარე და ისევ შენთან მოვედი, შენ კი ერთიცასე გზა გაგივლია ამდენ სანს.

— მიუსვდავათ მაგისა, მეც იმდენათვე გავაკეთე ჩემი საქმე, რამდენათაც საჭირო იყო! უპასუხა საათის მაჩვენებელმა ისარმა.

— როგორ! რა ნაირათ? ჰკითხა განცვიფრებით წამის ისარმა.

— შენ რომ ჩემსავით მიღოღიალობდე, დღე ვერასოდეს ვერ დასრულდებოდა; და მეც რომ შენსავით გავრბოდე, დღე ერთობ მალე გათავდებოდა. მაშ მე ვიღოღიალებ, შენ ირბინე და ჩვენ საქმეს ორივე კარგათ შევასრულებთ.

— მართალია, მართალი, მიამახა წამის ისარმა: მსოლოთ შორსა ვარ და აღარ მესმის; მალე მოვბრუნდები და მაშინ მითხარი, რაც დაგრჩა სათქმელათ.

ლიდია.

პატარა წვეთის ამბავი.

(რუსულიდან)

Oეო და არა იყორა, იყო ერთი პაწაწკინტელა წულის წვეთი; ცხოვრებდა თავისთვის მდინარეში ტოლ-ამხანაგ-

თან ერთათ; დაინახა ცაზე ბრწყინვალე მზე და მოინდომა იმისკენ გასეირნება.

— მზეო, მზეო,—შესძახა წვეთმა,—შენთან მინდა წამოსვლა და წამიყვანეო.

გაათბო მზემ წვეთი; გადააქცია იგი თეთრ მსუბუქ ორთქლათ და წაიყვანა ზევითკენ, შორს, შორს... პირველ წვეთს სხვებიც უკან გაჰყვენ. ზევით ძალიან ცივდა; შეწუხდა წვეთი და უკანვე დაბრუნება მოინდომა; სიცივისაგან ისევ წელათ გადაიქცა და დედამიწაზე ჩამოვარდა; მასთან ერთათ სხვა წვეთებიც ქვეითკენ წამოვიდენ.

ბაბუცამ გამოიხედა ფანჯარაში, დაინახა, როგორ ნავარდობდენ წვეთები და დაიძახა:

— წვიმა, წვიმა მოდისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო გასართობი

2.

რამდენი ნემსია?

ეთხარი ვისმე შენს ამხანაგს, შენ სრულებით არა გაქვს შეხების გრძნობა-თქო. ის, რასაკვირველია, აგიხირდება და მოგიუვება დამტკიცებას, მე შენზე უკეთესი გრძნობა მაქვს შეხებისაო.

შენც დასვი ის ემაწვილი სკამზე, აუხვიე თვალები და ცოტაოდნათ გადაახრევინე გვერდზე კისერი. აიღე ხელში ორი ნემსი (უკეთესია ნემსების მაგიერ იხმარო ფარგალი) და ეურს ქვემოდან კისერზე ოდნავ შეახე ნემსის წვერები,—ისე რომ ერთი ნემსი დაშორებული იყოს მეორესაგან ნახევარ გოჯით. ჰკითხე მერე, თუ რამდენი ნემსის ჩხვლეტა იგრძნ-თქო, და ის გეტყვის, რომ ერთისაო. ვერც დაარწმუნებ, იცოდე, თუ მოწმები არ დაისწარ და სხვებსაც არ აეურებინე.

---

*) ეგელგან ერთნაირათ არა აქვს კაცს განვითარებული გრძნობა შეხებისა: ენის წვერზე რომ გვინდოდეს ვიგრძნოთ ორი ნემსის ჩხვლეტა, საკმარისია ერთი ნემსი დაშორებული იყოს მეორეზე ერთს მილიმეტრზე მეტათ; რო გვინდოდეს ვცადოთ იგივე თითის წვერებზე—ერთი-ორათ მეტათ უნდა დავაშოროთ; ხელის გულზე—ერთი-ხუთათ მეტი, ვიდრე თითებისათვის; შუბლზე—ერთი-ორათ მეტი, ვიდრე ხელის გულზე ანუ ნახევარ გოჯზე მეტათ უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთს.

ბორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსი.

სადღეგრძელო.

(გაგონილი სოფ. შეროულში ვ. ბიბილაშვილისაგან).

ღმერთო, დიდება შენ სახელსა,
ნუ წაახდენ ჩვენ საქმესა!...
ღმერთმა ადღეგრძელოს კერა,
იმის მაყურებელი ყველა....
საკიდელი, საძირკველი,
სტუმარი და მასპინძელი,
ხარი, ვაზი, მანეული,
ხაბაზი და მზარეული.

გამოცანა.

(წარმოდგენილი ი. ეკდოშვილისაგან.)

სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წავედი რკინის გზით, ისე ჩამოვედი დანიშნულ ადგილას, რომ ფეხი არ ჩამოვიდგამს ძირს. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გავიარე ორი ვერსი ფეხით, დანიშნულ ადგილს მე და ვაგონი ერთათ ჩამოვედით. შემიტყეთ, როგორ გავიელიდი ფეხით ორ ვერსს?

(წარმოდგენილი სოლ. გოშაძესაგან.)

ანასაო, ხანასაო, წვერი უკავს დანასაო,
ჯერ ხომ საფლავს დაუმზადებს, მერე გაზრდის
ყანასაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი ჭიჭიკოსაგან).

ერთსა ვხედავთ ჩვენ ყოველ დღე,
თუ ბნელაში არა ვზიავართ;
უმეოროთ ცხოვრებაში
სამუშაოთ არ ვარგიავართ.
ორიევეს თუ ერთათ დაწერთ,
ახალ-გაზდა პოეტია,
და ვინც იმას ჯერ ვერ იცნობს,
აწ გაიცნობს, იმედია.

ზ მ ა - გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი სოლ. გოშაძისაგან).

ერთი რამე ხილათ მოვა, უშველებელი ხმიანი,
რასაც იხელებს, გააქრობს, დღეც ვეღარ იხსნის მზიანი.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

საზარელი გრგვინვა, ელვა და გაჩნდება ჭექა-ჭუქი,
ერთ ხმათ ყველა გაჩუმდება, ტანჯვა გველის არ მსუბუქი,
ტყე, მინდორი შიშითა ძრწის, გზაზე შიშობს თვით ჩაუქი,
ყანას, ჯეჯილს კირწსა მოწყვეტს, ჭირნახულის არ გამსუქი,
„ვაის“ ვიტყვით, თუ თავში გვხვდა, გვიბნელდება მზისა შუქი,
არის ცივი, მძიმეც არის, არცა შავი, არცა მუქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

ნ 10 



ანბანლი ანუ?



3

25 დეკემბერი.

ზოგიერთ ხალხთა წოდება კავკასიაში.

ძაკი ზდვის ბიჩას ქალაქი.

მე რა კარ დედიჩემისა?

ბურს რა ეკიდება?



10

ქართველში რას ეძახიან ოდესაც ოშხიკარს.

1/12 წლისა

რა არ აცდება კაცსა?

უმა რა არის ბალონისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ VII & VIII გამოცანებისა.

აკროსტიხი: მუშა კაცი.

არითმეტიკული გამოცანა: ოთხი ჩიტი მოფრინდა. სამი ხეიყო.

შარადა: ახალ წელიწადი.

რებუსი: ვინცა კეთილი ბავშია, მშობლების რჩევის გამგონი, დედა ენისა მოყვარე, თავისი ქვეყნის ერთგული, ის ყველგან ხარობს, კაცია ხალხისგან პატივ დებული.

რედაქტორ-გამომცემელი ივან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა